საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრთის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 5 თებერვალი, 2013 წელი.

№21 (7148)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

სააკაშვილი თუ საქართველო, დიქტატურა თუ ხალხის მმართველობა?!

საპარლამენტო უმრავლესობა „ნაციონალურ მოძრაობას" დებატებში იწვევს

...აუცილებელია, შეიცვალოს კონსტიტუცია, რათა სახელმწიფოს მეთაურის ძალაუფლების ლიმიტირება მოხდეს!

ჯანი ბუკიკიო,
ვენეციის კომისიის პრეზიდენტი. 31 იანვარი, 2013 წ.

2

უგულავა ხაფანგში გამომწყვდეული ვირთხებს

3

ტყის ჭრაზე ლიცენზიები ძველი ხელისუფლების მიერაა გაცემული

4

ქართული ღვინო რუსეთში სულ მცირე 300 რუბლი ეღირება

9

10

ოქრუაშვილის ოქროს ბრინჯაოს ხანას აგვაცილა

ჭეშმარიტება, რომელიც ქართულად გაცხადდა

შეხვედრა ჯემალ აჯიაშვილთან

6-7

გულზე გამავალი გზები

5

„მაგთიკომში" პორტირებით ორჯერ მეტი აბონენტი შემოვიდა, ვიდრე წავიდა

მაგთი MAGTI

9

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განცხადება

სააკაშვილი თუ საქართველო, დიქტატურა თუ ხალხის მმართველობა?!

საპარლამენტო უმრავლესობა „ნაციონალურ მოძრაობას“ დებატებში იწვევს

საპარლამენტო უმრავლესობა უმცირესობას საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას სთავაზობს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დებატებში იწვევს.

საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციების მიმართვას კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს – თუნდაც უპრეცედენტო კონსტიტუციური უფლებებით აღჭურვილი მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, ქვეყნის წინსვლის ხანმოკლე შეფერხება ბევრ მოვლენას შეუძლია – მათ შორის, პოლიტიკური პერსპექტივის გარეშე დარჩენილი მიხეილ სააკაშვილის შესაძლო მორიგ უპასუხისმგებლო ნაბიჯს.

კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა სწორედ ამგვარი შეფერხების საფრთხე ააცილა ქვეყანას, როდესაც ყველასთვის ნათელი გახადა, თუ რა ცდუნებას იყო აყოლილი მიხეილ სააკაშვილი და როგორ ამზადებდა ნიადაგს (განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ) მორიგი ავანტიურისათვის – მე, ისეთი სუპერდემოკრატი პრეზიდენტი ვარ, რომ არჩევნებში დამარცხებაც კი ვაღიარე, მაგრამ დიქტატორ ივანიშვილს კატასტროფისკენ მიჰყავს ქვეყანა და ამიტომ იძულებული ვარ, შევასრულო კონსტიტუციით დაკისრებული ვალდებულება და ხელისუფლებას ჩამოვაცილო მისი მთავრობაო.

ამგვარი ნაბიჯის ცდუნებას მას უქმნიდა 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით შექმნილი მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი გახდა ხალხისა და პარლამენტის ნდობის მქონე მთავრობის გარეკვა და მხოლოდ მისი ნება-სურვილის შემსრულებელი მთავრობის დანიშვნა.

ამ საკითხზე ვენეციის კომისიის დასკვნა იმთავითვე ცალსახად უარყოფითი იყო. დასკვნაში ნათქვამია: „ამ შემოთავაზების გაზიარება რთულია. ამგვარ მთავრობას (პარლამენტის თანხმობის გარეშე დანიშნულს) არ ექნება ლეგიტიმურობა. როდესაც პარლამენტი სამჯერ უარყოფს პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ მთავრობას, პრეზიდენტს არ უნდა შეეძლოს ისეთი პრემიერის დანიშვნა, რომელიც პარლამენტს არ აურჩევია. მას უნდა შეეძლოს პარლამენტის დათხოვნა და მოქმედი პრემიერ-მინისტრისთვის მოვალეობების შესრულების დაკისრება არჩევნების დასრულებამდე“ (ვენეციის კომისიის დასკვნა3281/2004. მარტი, 2004).

მიუხედავად ამისა, კონსტიტუციის ეს ჩანაწერი 9 წლის განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა დემოკრატიულ სამყაროს, ვინაიდან სააკაშვილი ახერხებდა ყველასთვის თვალში ნაცრის შეყრას. მხოლოდ პარლამენტში ინიცირებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა გახადა ყველასთვის ნათელი, თუ რასთან და ვისთან გვაქვს საქმე. ყველასთვის ცხადი გახდა ისიც, თუ როგორ ფარისევლობდა სააკაშვილი დამარცხებასთან შეგუების თემაზე და რას ემსახურებოდა მისი პიარკამპანია უცხოეთში.

საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები გაოცებით კითხულობენ, ნუთუ მართლა წერია საქართველოს კონსტიტუციაში, რომ პრეზიდენტს ხალხის და პარლამენტის უკითხავად შეუძლია შექმნას მთავრობა და მას ამართინოს ქვეყანაო... ამგვარი ჩანაწერი, ასე კონსტიტუციურად გამყარებული დიქტატურა ხომ დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს!

სწორედ ეს მიუთითა ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკიომ 2013 წლის 31 იანვარს თბილისში ყოფნისას: **„არის რიგი მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ცვლილებები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა იძნეს მიღებული და მესმის, რომ ეს უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პარლამენტმა და მთავრობამ სტაბილურად იმუშაოს. აუცილებლია, შეიცვალოს კონსტიტუცია, რათა სახელმწიფოს მეთაურის ძალაუფლების ლიმიტირება მოხდეს, რაც მას უფლებას აძლევს, რომ მთავრობა დაითხოვოს და პარლამენტის თანხმობის გარეშე ახალი მთავრობა აირჩიოს“.**

ამდენად, თავად კონსტიტუციური ცვლილებების ინიცირების ფაქტიც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სააკაშვილის გეგმა ჩაშლილიყო – ახლა არც მისი „კოჰაბიტაციური“ სურვილების ჭეშმარიტების სჯერა ვინმეს და აღარც მისი კონსტიტუციური მექანიზმების. შესაბამისად, იგი დღესვე, სანამ კონსტიტუციაში ჯერ კიდევ არსებობს ეს ჩანაწერი, უკვე უძლურია, გამოიყენოს ეს იარაღი. ამ იარაღით მას მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური თვითმკვლელობა შეუძლია.

„ნაციონალური მოძრაობა“ ცხადია, თავისუფალია არჩევანში. მათ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ამ ცვლილებებს და ამით არა მარტო წარსულის სიმახინჯეზე თქვან უარი, არამედ პოლიტიკური მომავლისთვისაც გადადგან სწორი ნაბიჯი; ან მათ შეუძლიათ უარი თქვან ცვლილებების მხარდაჭერაზე და ამით მთელი მსოფლიოს გასაგონად გააცხადონ თავიანთი ჭეშმარიტი პოლიტიკური ზრახვები და მომავლის ხედვა.

ცვლილებების განხილვის პროცესში უმცირესობის ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან დაისვა საკითხი პარლამენტის დათხოვნის 6-თვიანი შეზღუდვების მოხსნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ჩვენი წინადადება მიზნად ისახავდა ჩვენს პოლიტიკურ მზაობას, ნებისმიერ დროს მიგვეცა ხალხისთვის არჩევნის საშუალება. მაგრამ, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ თვალთახედვიდან ეს ნოვაცია რაიმე საფრთხეს შეიცავს, თანახმა ვართ, ვიმსჯელოთ და გავიზიაროთ მათი წინადადება, თუ იგი მკაფიოდ და საჯაროდ იქნება გამოთქმული.

კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით პოზიციები უნდა გამოკვეთონ არა მარტო პოლიტიკურმა გუნდებმა, არამედ თითოეულმა პარლამენტარმა და პოლიტიკოსმა. არ გამოვრიცხავთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ცალკეულმა წევრებმა ჩათვალონ, რომ ეს ის თემა და საკითხია, რაზეც ისინი ინდივიდუალურად არიან პასუხისმგებელი ხალხის წინაშე და მხარი დაუჭირონ ხალხისთვის ძალაუფლების დაბრუნებას მიუხედავად იმისა, თუ რა იქნება მიხეილ სააკაშვილის პოზიცია. არჩევანი მათზეა!

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააკაშვილმა სწორი ნაბიჯის გადადგმის საშუალება არ მისცა არც თავის გუნდს და არც თავის ცალკეულ წარმომადგენლებს და კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მიზანი მაინც მიღწეული იქნება. ამ შემთხვევაში დემოკრატიული სამყარო საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მიხეილ სააკაშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ძალაუფლებაზე გაგიჟებულ თავგზააბნეულ დიქტატორთან, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ სახით – საკუთარი პოლიტიკური თვითგანადგურების გზაზე მდგარ, ერთი კაცის ახირებებს აყოლილ, თავისუფლებაწართმეულ ადამიანებთან, რომელთა სიტყვას ჩალის ფასი უნდა დაედოს ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც.

რა უნდა უთხრან ამ ცვლილებებისთვის ხმის არმიმცემებმა ქართველ ხალხს? – მართალია, კონსტიტუციის ეს ჩანაწერი ჯერ კიდევ 2004 წელს დაგმო ვენეციის კომისიამ, მართალია 2010 წლის ჩვენს მიერვე შეტანილი ცვლილებებით იგი 10 თვის შემდეგ გაუქმდება, მართალია ამ 10 თვის განმავლობაში პრეზიდენტი მაინც არ აპირებს ამ უფლებამოსილებით სარგებლობას, მართალია ცოტა ხნის წინ ჩვენვე დავუჭირეთ მხარი ამ ცვლილებების განხილვას, მაგრამ სააკაშვილს ეწყინება კონსტიტუციური დიქტატორის რეგალიის ჩამორთმევა და ამიტომ ხმას ვერ მივცემთ ამ ცვლილებასო... სიმბოლურია, რომ აქ საუბარია სწორედ პრეზიდენტობის ვადის იმ 10 თვეზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილს ისედაც მითვისებული აქვს კონსტიტუციური მანიპულაციებისა (2006 წლის ცვლილებები) და თვალთმაქცობის (2007 წელს პრეზიდენტობიდან გადადგომის განცხადების დაგვიანებით გაფორმება) გზით. ამრიგად, სრულიად ნათელია – ვინც თავს აარიდებს შემოთავაზებული ცვლილებისთვის ხმის მიცემას, იგი აკეთებს არჩევანს ერთი კაცის ახირების სასარგებლოდ და ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ, ანუ აცხადებს, რომ „სახელმწიფო, ეს სააკაშვილია“. ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ „სახელმწიფო, ეს ქართველი ხალხია“.

ამიტომ, დღეიდან საჯარო საპარლამენტო და სატელევიზიო დებატებში ვიწვევთ პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ თითოეულ წარმომადგენელს თემაზე – **„სააკაშვილი თუ საძართველო, დიქტატურა თუ ხალხის მმართველობა“**. წლების განმავლობაში სააკაშვილის ზურგს უკან მიმალულ ადამიანებს, რომლებიც პერსონალურად არასოდეს არაფერზე აგებდნენ პასუხს, მოუწევთ საკუთარი აზრის მკაფიოდ დადასტურება კონკრეტულ საკითხზე – უნდა ჩამოერთვას თუ არა პრეზიდენტს ხალხის და პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის შეცვლის უფლება. ამ საკითხზე არჩევნის გაკეთებისას ვერავინ ვერავის ზურგს ვერ ამოეფარება და ვერც დემაგოგიური ხრიკებით შეძლებს სხვა თემებით მის გადაფარვას. პარლამენტის წევრებმა, რომლებიც თავს იწონებენ ხალხის რჩეულის სტატუსით, თვალი უნდა გაუსწორონ საზოგადოებას და საკუთარ შვილებს (და არა ჩვენ ან ბიძინა ივანიშვილს) და განაცხადონ – „კი“ თუ „არა“. ეს არ არის მორიგი პოლიტიკური საკითხი, რომელზეც მსოფმხედველობიდან გამომდინარე შეიძლება ორი მეტ-ნაკლებად სწორი პასუხი არსებობდეს, ეს არის ფუნდამენტური საკითხი იმის გასარკვევად, თუ სინამდვილეში რას ემსახურება თითოეული ჩვენგანი – ხალხს თუ დიქტატორს. შესაბამისად, ამ პასუხზე იქნება დამოკიდებული ჩვენი დამოკიდებულება თითოეული მათგანისადმი - ვინც იტყვის „კი“, მასთან ჩვენ ვხედავთ თანამშრომლობის თუ ოპონირების აზრს და შესაძლებლობას სხვა საკითხებზეც; ვინც იტყვის „არა“, მის მოსმენაზე და მასთან დებატებზე ჩვენ დროს ვერ დავკარგავთ ვერც ნებისმიერ სხვა საკითხზე“, – ნათქვამია მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერენ

დავით საბანელიძე, ზაქარია ძუძნაშვილი, დავით ბერძენიშვილი, ირაკლი ჩიქოვანი და გიგა ბუკია.

◎ ეხმაურებიან უმრავლესობის განცხადებას

უმცირესობა საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს გარკვეული პირობით დაუჭერს

საპარლამენტო უმცირესობა საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს გარკვეული პირობებით დაუჭერს. ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომელიც უმრავლესობის გუშინდელ განცხადებას გამოეხმაურა.

როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ბაქრაძემ განაცხადა, უმრავლესობის განცხადებაში რამდენიმე ტენდენცია გამოიკვეთა. მისი თქმით, პირველი არის ის, რომ მიუხედავად პოლიტიკური ზეწოლისა და პირდაპირი შანტაჟისა პარლამენტის წევრებზე, საპარლამენტო უმრავლესობამ ვერ შეძლო საკონსტიტუციო ქვორუმის შეგროვება.

რაც შეეხება მეორე ტენდენციას, ბაქრაძის განცხადებით, მათმა კოლეგებმა უმრავლესობიდან სატელევიზიო გამოსვლაშიც ვერ შეძლეს, თავი შეეკავებინათ პირდაპირი მუქარისგან და ფაქტობრივად, ულტიმატუმის სახით ესაუბრებოდნენ ოპოზიციას, რაც მიუღებელია.

„ის, რომ ზეგ გასამართ კენჭისყრაზე მხარდაჭერას ვერ მიიღებენ, დიდწილად განპირობებული იქნება სწორედ იმ ენით, ურთიერთობის იმ ფორმით, რომლითაც ისინი ცდილობენ ჩვენი მხარდაჭერის მოპოვებას“, – განაცხადა ბაქრაძემ.

უმცირესობის ლიდერის განცხადებით, მთავრობა ცდილობს, მოსახლეობას აჩვენოს, რომ ხელი ეშლება საქმეში, სწორედ ამიტომ ვერ ასრულებს მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებას და არსებობს მთავრობის დათხოვნის „მზაკვრული მსოფლიო გეგმა“.

„არანაირი მზაკვრული გეგმა არ არსებობს და არავინ არ აპირებს მათთვის ხელის შეშლას. თავი დაანებონ კუდიანებზე ნადირობას, „ნაციონალების“ დადანაშაულებას, შეგზავნილი აგენტების ძებნას და იმუშაონ“, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, თუ უმრავლესობას აქვს შიშები, რომ მექანიზმი იქნება გამოყენებული და აპრილში მთავრობას კრიზისი დაემუქრება, ისინი მზად არიან, ამ თემაზე დასხდნენ და ისაუბრონ.

„მაგრამ ამ ქვეყანაში ბევრი სხვა შიშიც არსებობს. ჩვენ მზად ვართ, ეს გავაკეთოთ ისეთი ფორმით, რომელიც სკამების დაკარგვის შიშთან ერთად, სხვა შიშებსაც მოუხსნის ჩვენს მოსახლეობას. ეს არის შიში, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ მომავალს შეიძლება საფრთხე დაემუქროს. ჩვენ მზად ვართ, მოვუხსნათ მთავრობას შიშები და ხმა მივცეთ საკონსტიტუციო ცვლილებებს და ამავე დროს, ერთ პაკეტში მოვხსნათ ის შიში, რომელიც აქვს საქართველოს მოსახლეობას, რომ ევროპული კურსი შეიძლება შეიცვალოს“, –- განაცხადა დავით ბაქრაძემ.

უმცირესობა ასევე უმრავლესობას სთავაზობს, მოიხსნას ოპოზიციაზე ზეწოლა. ბაქრაძის განცხადებით, ისინი სთავაზობენ უმრავლესობას, ამოქმედდეს კონსტიტუციის ის ნაწილი, რომლითაც 3/4 იქნება საკონსტიტუციო ქვორუმი, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობის წინაშე მუდმივად აღარ იქნება ცდუნება „გადაითრიოს იქით მხარეს რამდენიმე დეპუტატი“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შეფასება

რამაზ საყვარელიძე:

კოალიციაში შიდა დაპირისპირება კი არა, უბრალოდ, დაიწყო ის, რაც დაგეგმილი იყო



მას შემდეგ, რაც ყოფილი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი, როგორც თავად ამბობს, ქვეყნის გადარჩენის მიზნით პოლიტიკაში მოვიდა და თავის გუნდთან ერთად ხელისუფლება გადაიბარა, ასი დღე გავიდა. როგორც „ჟი-ეიჩ-ენთან“ ინტერვიუში რამაზ საყვარელიძე აცხადებს ქვეყანაში პროცესები მდორედ მიმდინარეობს, თუმცა, პოზიტიურად. რამდენად სწორი ტაქტიკით მოქმედებს ივანიშვილის გუნდი და რა შეცდომები დაუშვეს მათ ხელისუფლებაში ყოფნის ასდღიან მონაკვეთში?

— ბატონო რამაზ, რას ფიქრობთ ბიძინა ივანიშვილის გუნდის შესახებ, რამდენად სწორი მიმართულებით მოქმედებს და როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენების განვითარება?

— ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ივანიშვილის გუნდმა ავტომატურად გააკეთა ბევრი ისეთი რამ, რასაც მოსახლეობა ელოდა — შეიცვალა სატარიფო პოლიტიკა, შიში იმის თაობაზე, რომ ქუჩაში კრიმინალები, ან პოლიციელები დაგიშავებენ რამეს, არ გამართლდა. ჯერჯერობით ეს პოზიტიური ფაქტები შეინიშნება.

— ახალი ხელისუფლების პირობებში გაჩნდა შიში ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის შეცვლისა და დსთ-ში დაბრუნების შესახებ. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია საზოგადოებაში გაჩენილი ეს პოზიცია?

— საქართველოს საგარეო კურსთან დაკავშირებით, იმ იდიოტობას, რასაც „ნაციონალების“ საზოგადოებაში ავრცელებენ, არ ავყვები, რადგან ხელისუფლების ნაბიჯებიდან გამომდინარე, ჩანს, საგარეო კურსთან დაკავშირებით, რა პოზიცია გიჭირავს. რაც შეეხება ასი დღის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის გუნდის მოქმედების ზოგად შეფასებას, ქვეყანაში პროცესები უფრო მდორედ მიდის.

— რას გულისხმობთ პროცესების მდორედ მიმდინარეობაში?

— ქვეყანაში პროცესები მიდის შედარებით ნელა, არაენერგიულად.

— რა არის ამის მიზეზი?

— ივანიშვილის გუნდში არ არიან ადამიანები, ვინც ცვლილებების ენერგიულად გამტარებლები იქნებიან. თავის დროზე ენერგიულობით არც „რესპუბლიკელები“ და არც „თავისუფალი დემოკრატები“ გამოირჩეოდნენ. მაინცდამაინც დიდი ენერგიულობით სააკაშვილს თუ შევადარებთ, არც ივანიშვილი გამოირჩევა, მაგრამ პრემიერ-მინისტრს ერთი თავისებურება აქვს. ის დიდხანს ითმენს, სიტუაციას უყურებს, ხელსაყრელ მომენტს ელოდება და ხელსაყრელი მომენტის დროს ოპერატიული ხდება.

— ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანია თანამდებობრივად ჩამოაქვეითა, „ეროვნული ფორუმი“ და „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გაერთიანება გადაიდო, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი რაიონული ორგანიზაციებიდან „თავისუფალი დემოკრატების“ წევრების გარიცხვას მოითხოვს. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, შეიძლება თქმა, რომ კოალიციაში შიდა დაპირისპირება და კონკურენცია დაიწყო?

— კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პირობა დადო, რომ ერთ პარტიად არ გარდაიქმნებოდნენ და ყველას თავისი გზა ექნებოდა. ასე, რომ შიდა დაპირისპირება კი არ დაიწყო, უბრალოდ, დაიწყო ის, რაც დაგეგმილი იყო, რატომ არქმევთ ამას შიდა დაპირისპირებას? კოალიციაში სხვადასხვა პარტიები არიან, მათ განსხვავებული ხედვა უნდა ჰქონდეთ და ღმერთმა ქნას, რასაც შიდადაპირისპირებას არქმევთ, ეს პროცესი დაიწყოს და მრავალპარტიულობა მივიღოთ.

ესაუბრა
ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲜᲐᲑᲐᲮᲢᲔᲕᲔᲚᲘ

◎ დანაშაული და სამართალი

უგულავა ხაფანგში

გამოძიებულივით ფარცხალებს

ბოლო რამდენიმე დღეა, დედაქალაქს მღელვარების ახალმა ტალღამ გადაუარა, რომელმაც თბილისის მერია და მისი მიმდებარე ტერიტორიები ერთიანად დატბორა. ამან, რა თქმა უნდა, ქალაქის თავკაცი გიგი უგულავა, რომელიც ისედაც ახალი მთავრობის ლანძღვა-გინებაზეა გადასული, კიდევ უფრო გააღიზიანა. აქვს მიზეზი, ჩემო ბატონო, და იგინება. კვირა ისე არ გაივლის, არჩილ კბილაშვილის უწყებამ მერიის რომელიმე „ბლაღორჩინს“ კბილი არ გაჰკრას. ესეც არ იკმარეს, ამჯერად დაკითხვაზე მოწმის სახით თავად მერიის მთავარი „უსტაბაში“ — გიგი უგულავა დაიბარეს.

— ამ მთავრობისა ვერაფერი გამიგია, — იცოფებოდა ტელევიზორში ქალაქის თავკაცი, — იმის მაგივრად, რომ არჩევნების წინ ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულებაზე იზრუნონ, ეკონომიკა განავითარონ და ადამიანებს ცხოვრების უკეთესი პირობები შეუქმნან, ერთთავად პოლიტიკური ოპონენტების დევნა-დაჭერებზე არიან გამეცადინებულიო. თუ აქამდე ფულის მიტაცებას გვაბრალებდნენ, ახლა ხალხის დასაქმებაში გვადანაშაულებენო. გესმით, ხალხო, რაში მდებენ ბრალს? — 764 კაცი რატომ დაასაქმეო! თავად დასაქმებულებს კი იმაში ადანაშაულებენ, რატომა ხართ ნაცები და არა მეოცნებეებიო(!).

ხედავთ, თურმე რა ხდება ქვეყანაში და ჩვენ კიდევ ბაიბურში არა ვართ. „ქართული ოცნება“ არჩევნების წინ გვთაფლავდა, ხელისუფლებაში იმისთვის მოვდივართ, ხალხი დავასაქმოთ და ღირსეულად ვაცხოვროთო, ახლა კი, როცა თავიანთი გაინაღდეს, უგულავას იმაში ედავებიან, ხალხი რატომ დაასაქმეო!? ამას რომ მოისმენ, მერის ცოდვით გული შეგეკუმშება და თუ „ბორჯომი“ არ მიაყოლე, ცრემლებიც წამოგცვივა. ღმერთმანი, ნამდვილად ცოდოა ეს კაცი. კიდევ კარგი, მისნაირები თითოორროლა მაინც შემოგვრჩა ადგილობრივ მმართველობაში, თორემ უსაქმურობით მთლად გადავშენდებოდით!..

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ტელევიზორი „ახალ ამბებზე“ გადავრთე და იქიდან საპირისპირო ვარიანტი მოვისმინე. როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მუშაკებმა აგვიხსნეს, **გიგი უგულავას თურმე იმაში კი არ ადანაშაულებენ, რომ 764 კაცი დაასაქმა, არამედ იმაში, რომ ისინი უკანონოდ, ფიქტიურად დაასაქმა და ამაში 5 მილიონ ლარზე მეტი სახელმწიფო თანხა გაფლანგა. გამოძიებით დადგინდა, რომ 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვისის“ იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი ხუჭუამ მერიის დასუფთავების სამსახური იმჟამინდელი უფროსის ტარიელ ხიზანეიშვილის დავალებით, ნაცმოძრაობის აქტივისტების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ამ სამსახურში ფორმალურად შექმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, სადაც 2 წლის განმალობაში ფიქტიურად დასაქმდა ნაცების პარტიის 764 აქტივისტი, ეგრეთ წოდებული პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ მოგონილ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია, რადგან ისინი, როგორც წესი, უკვე დასაქმებული იყვნენ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში. ფულის მიღებაზე კი, იცოცხლეთ, უარს არავინ ამბობდა, რაც იქიდან ჩანს, რომ მათ ბიუჯეტისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან ჯიბეში 5245945 ლარი კანონის დარღვევით ჩაიჩხრიალეს.**

მავანს შეიძლება კითხვა გაუჩნდეს: კი მაგრამ რა შუაშია აქ გიგი უგულავა, ვინც უშუალდ საქმეში გადის, კეთილი ინებონ და პასუხიც იმას მოსთხოვონო. საქმეც ის გახლავთ, რომ მთელ ამ უკანონო ხლართში უგულავა შუაში კი არა, სწორედაც რომ თავში აღმოჩნდა. გამოძიებით ირკვევა, რომ 2010 წლის 6 აგვისტოს „თბილსერვისის“ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი სწორედ დედაქალაქის მოქმედმა მერმა გიგი უგულავამ დაამტკიცა. რაც შეეხება დასუფთავების სამსახურის ყოფილ უფროსს ტარიელ ხიზანეიშვილს, ნაცმოძის კოორდირატორებს შორის გაწეული აქტიური სახელფასო საქმიანობისთვის, დააწინაურეს და ამჟამად ვიცე-მერის თანამდებობაზე აგრძელებს მოღვაწეობას.

გამოძიებას, როგორც სჩვევია ხოლმე, დიდი სურვილი აქვს, ქალაქის მერი სახელმწიფო თანხების არამიზნობრივად ხარჯვაში, მარტივად რომ ვთქვათ, მის გაფლანგვაში დაადანაშაულოს, მაგრამ საკითხი არც ისე მარტივად დგას, როგორც მათ

გიგი, მორჩი, რა!

ფიძრი, რომელიც დაბადა თბილისის მერის მორიგმა დემაგოგიურმა ბრიფინგმა

ველარ ამაყობს პაპა ყოჩითა,
ვერ გცნობს მისსავე ნაგრამს,
რადგან მიჰყვები დღემდე
მორჩილად
ნაცი-ბაცების ლაგამს;
დემაგოგობას, მოდი,
მორჩი, რა,
თორემ მიგაბეს ნაგავს!

ალექსანდრე შენგელია

წარმოუდგენიათ. გიგი უგულავამ, როგორც მან ტელევიზორში „გააჟღერა“, ეს ფული ტყუილუბრალოდ კი არ გადაყარა, ის კონკრეტულ საქმეს მოახმარა. კერძოდ, ძალიან ჭირდა მოსახლეობის ნაგვის ბუნკერების აღების აუცილებლობაში დარწმუნება და ქალაქის მერიამ ის აქტივისტები, რომლებზეც ხსენებული თანხები გაიცა, სწორედ ამ საქმეში გამოიყენა და არა არჩევნებში ნაცმოძრაობისთვის ხმების მისაცემად გაწეულ პროპაგანდაში, რასაც გამოძიება მას ოფიციალურად ედავება. ეგ კი არა, **ნაგვის ბუნკერების აღება იმდენად გართულდა, რომ საჭირო გახდა ამ ფრიად სახლაფორთო პროცესში „თეატრალური კვარტეტის“ ჩართვაც კი, რომელიც ქალაქში კარდაკარ, ეზოეზო კონცერტებს მართავდა, მოსახლეობას საძულველი ბუნკერების წინააღმდეგ განაწყობდა, ხოლო აქტივისტების (იგივე კოორდინატორების) დიდი ნაწილი თურმე ცოცხებით მუსიკით დაწიოკებულ ვირთხებს იგერიებდა(!).**

რა თქმა უნდა, ქალაქის მერს შეეძლო იმ ბრალდებასთან დაკავშირებითაც გამოეძებნა რაიმე ალიბი, პროკურატურა დენის გადასახადთან ნაგვის ტარიფის მიბმაში, ხოლო ამ ორივესთან ნაცმოძის კოორდინატორებისთვის ხელფასების დანიშვნაში რომ ხედავს, მაგრამ უგულავა სააკაშვილი ხომ არ არის, რაც პირზე მოადგება ყველაფერი დაფქვას. ამაზე „სიტყვაძუნწმა“ გიგიმ მხოლოდ ის

განაცხადა, გამოძიებას ამით საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება და რეალური მიზნების შენიღბვა სურსო და გაჩუმება ამჯობინა.

თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უგულავამ კარგად წამოწყებული „ეროვნული საქმის“ ბოლომდე მიყვანა გადაიფიქრა. ამის დასტურად საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისის“ თავმჯდომარის გიორგი მუსხელიშვილის განცხადებაც კმარა, რომელიც ამბობს, რომ ნაცმოძრაობის კოორდინატორების დასაფინანსებლად 2013 წლის თბილისის ბიუჯეტიდან 3 მილიონი ლარია გათვალისწინებული. მისივე განმარტებით, **მერიამ უკვე გამოყო 400-მდე საშტატო ერთეული გაურკვეველი პროფესიის პედაგოგებისთვის, რომლებსაც 6-10 წლამდე ბავშვების გართობა-თამაში ევალებათ. ყოველდღიურად მოზარდთა ერთი საათით გართობისთვის ეს უჩვეულო უნარ-ჩვევების მქონე მასწავლებლები, რომლებიც სინამდვილეში ნაცმოძრაობის კოორდინატორები არიან, თვეში 600 ლარამდე ხელფასს მიიღებენ. ამას კიდევ რა უჭირს, თუ მერიის მესვეურთა ფანტაზიას გავყვებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ერთ მშვენიერ დღეს იმავე კოორდინატორებს (შეიძლება ზონდერებსაც) ქალაქის ბაგა-ბაღებში ბავშვების ძიძა-აღმზრდელებადაც ვიხილავთ.**

თუმცა, თუ თვითმხილველებს დავუჯერებთ, გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა თავად ქალაქის მერის დაკითხვა (სამუშაო გრაფიკის გადატვირთვის გამო მას პროკურორი და გამომძიებელი საკუთარ კაბინეტში ეწვივნენ!), ვიდრე უგულავას მიერ ნაცმოძის კოორდინატორების დასაქმების ტრაგიკომიკური ისტორია. ფრიად საინტერესო რესპონდენტი გამოდგა ეს ჩვენი თბილისის მერიო, — აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ დაკითხვიდან გამოსული სამართალდამცავნი. თვითონ უგულავაც გადარეული ჩანდა წვეულთა რაფინირებული საქციელით. ამისთანა არაფერი მინახავს, ჩვენ შორის ისეთმა სითბომ დაისადგურა, ზოგიერთ საკითხზე ლირიკული გადახვევებიც კი გვქონდაო(!) აქვე წუხილს გამოთქვამდა, მთავრობას ეკონომიკა თავზე ექცევა და ვერ გამიგია, ამ გაჭირვების ჟამს „თბილსერვისის“ გასაიმასქნებლად დრო როგორ გამონახაო. პროკურატურაც გამოუვალ ჩიხშია შესული, 700 კოორდინატორის გარდა, მას დამატებით კიდევ 24 ათასამდე სოცაგენტის დაკითხვაც მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხელისუფლებას ლიმიტით გათვალისწინებული 4 წელი პრაქტიკულად არც ეყოფაო, — გულდაჯავრიანებულია უგულავა.

შეექმნება თუ არა ახალ ხელისუფლებას დროის დეფიციტი, ამაზე თავად მთავრობას მოუწევს ფიქრი, აი, იმ კითხვებზე კი პასუხის გაცემა, მიუძღვის თუ არა დანაშაული გიგი უგულავას ნაცმოძის კოორდინატორების „დასაქმებაში“ (რაც ესოდენ ეამაყება), ვფიქრობ, არც ისე სახალისო იქნება, როგორც ქალაქის თავკაცს ეჩვენება. **თქვენ იმაში კი არ გედავებიან, ბატონო გიგი, ხალხი რატომ დასაქმეთო, არამედ იმაში, რომ ფიქტიურად დაასაქმეთ, თანაც არა იმ პარტიის ფულით, რომლის პროპაგანდასაც ეწეოდნენ, არამედ გადამხდელების, თითოეული ჩვენგანის მიერ გაღებული საბიუჯეტო შენატანებით, ისე, რომ არცა გვკითხეთ. ბრალი მიგიძღვით იმ ადამიანების (აქტივისტ-კოორდინატორების) მორალურ გარყვნაშიც, რომლებიც ამ უზნეო გარიგებაში მოხვდნენ და ახლა საკუთარ სინდისთან კონფლიქტში მოექცნენ. აი, რამდენ მძიმე კითხვაზე მოგიწევთ პასუხის გაცემა, ბატონო გიგი!**

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ბარბაროსობა

ტყის ჭრაზე ლიცენზიები ძველი ხელისუფლების მიერაა გაცემული

სპეციალისტთა დაანგარიშებით, მსოფლიოს ტყის რესურსი 360 მლნ კუბური მეტრია. აქედან საქართველოს წილი (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩათვლით) 0,13 პროცენტია. სპეციალისტთა გაანგარიშებით (ოფიციალური მონაცემები არ არსებობს) ჩვენში შეიმჩნევა ტყის დაბერების ტენდენცია. მისი ასაკი 100-120 წელია. ასეთია 35 პროცენტი; მაშინ, როდესაც ზრდასრულია 33 პროცენტი.

სპეციალისტთა მონაცემებით, ბოლო 4 წელიწადში სამეწარმეო საქმიანობისთვის 1170 ჰა ტყე გაიჩეხა. საერთოდ, რამდენია სულ გაჩეხილი, უცნობია, რადგანაც ტყეთმოწყობის აღრიცხვა 1988 წლიდან არ ჩატარებულა (ყოველ 10 წელიწადში უნდა ტარდებოდეს) ამასთანავე, არავინ ზრუნავს ტყის გაახალგაზრდავების პროცესზე.

გარემოს დაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის ილია ხომერიკის გადმოცემით, მას შემდეგ, რაც ტყის საკითხები და პრობლემები საპაკაშვილმა ყოფილ მეპურეს, შემდგომ ეკონომიკის მინისტრს ვერა ქობალიას გადაულოცა, კიდევ უფრო ცუდად წავიდა საქმე. პირველი, რაც ვერიკომ მოითხოვა, იყო ტყით სარგებლობაზე 50-წლიანი ლიცენზიების გაცემის უფლება. დღევანდელმა ოპოზიციამ და მაშინდელმა მორჩილმა საპარლამენტო უმრავლესობამ მოთხოვნა დააკმაყოფილა. შედეგად 2751 ჰა ტყე გასხვისდა, ძირითადად — უცხოელებზე. დადებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული რა ფართის ტყე გასხვისდა და რა ფართის მიწა. არ არის მითითებული რა ჯიშის ხეებია იქ და, რაც მთავარია, სიტყვაც არ არის ნათქვამი, თუ რა სახით უნდა ჩააბაროს ის მეიჯარემ სახელმწიფოს. მან ტყის 60-65 პროცენტიც რომ გაანადგუროს, პასუხს ვერავინ მოსთხოვს. რადგანაც მასივის ფართი არც ჩაბარების დროს იცოდა ვინმემ და არც დროებითი მფლობელობის დროს უთვლის ვინმე მეიჯარეს სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებულ კუბურ მეტრებს.

ბუნების დამცველი არასამთავრობების განცხადებით, ყოფილმა ხელისუფლებამ 2010 წლის 20 აგვისტოს დადგენილებით ტყის ჭრა დაუშვა 0,4 სიხშირემდე — რაც იმის მომასწავებელი იქნება, რომ საკურორტო ზონებში ტყის მასივები მთლიანად განადგურდება. ამ მხრივ უმძიმესი მდგომარეობაა ბორჯომი-ხარაგაულის უნიკალურ ტყეპარკში, კურორტ აბასთუმანში. თუ ასე გაგრძელდა, ის თავის გამორჩეულ ფუნქციას დაკარგავს.

ტყის უმოწყალოდ განადგურება არჩევნების შემდგომაც გრძელდება. ღია გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ (OECI) ტყეების მდგომარეობის შეფასების მიზნით ნოემბერსა და დეკემბერში ღია საველე გასვლები მოაწყო დუშეთისა და თიანეთის სატყეო უბნებზე. შედეგებს ორგანიზაცია საგანგაშოს უწოდებს. ტყის სიხშირე კრიტიკულ ზღვარს ქვემოთაა. მწვანე საფარი 11 ჰექტარზეა განადგურებული. გატანილია 200 ათასი კუბური მეტრი მასალა. აქ ორი ტყეკაფი ჩინელებს აქვთ 20-წლიანი იჯარით აღებული. ხელშეკრულებით მათ 900 ათასი კუბური მეტრი მასალა უნდა გაიტანონ. მეპურე ვერას მიერ გაცემულ ლიცენზიას ვერავინ შეაჩერებს.

თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის მამული მამულაშვილის განმარტებით, რაიონიდან ათასობით კუბური მეტრი შეშა ისე გადის, რომ თიანეთის ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შედის. მისი განმარტებით, გამგეობა იძულებულია საკუთარი ძალებით დაიწყოს ტყის ჭრის კონტროლი.

მოსახლეობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ტყის უზომო ჭრა დღესაც გრძელდება, ვითომდა საჯარისო ნაწილების შეშით უზრუნველყოფის მოტივით. ადგილობრივებს დღესაც ვერ გაუგიათ, ვინ არიან ეს შეშის მჭრელები და რაში ჭირდებათ ამდენი შეშა.

ნიადაგმცოდნეების განმარტებით, ტყისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო დაშრა წყაროები, გაქრა ცხოველი და ფრინველი. ბუნებისდამცველი არასამთავრობები ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეწყდეს ფლორისა და ფაუნისადმი ვანდალური დამოკიდებულება და სასწრაფოდ შეიცვალოს ამ საკითხისადმი მიდგომა.

ზაზა ბილიხოძე

P. S. ტყის ჭრაზე რომ მეპურე ვერა და მომღერალი მინისტრი ხაჩიძე ლიცენზიებს მხოლოდ ლამაზი თვალების გამო არ გასცემდნენ, ცხადია, ამაში ყოფილი ხელისუფლების მაღალი ეშელონების დაინტერესებაც იყო. მაგრამ „ნაცების“ მხრიდან ქვეყნის ეკოსისტემის განადგურებით კერძო სარგებლის მიღების სხვა მცდელობაც იყო. რომ არა 1 ოქტომბერი, ვარდოსნების გეგმაში იყო... ნიადაგის გაყიდვა. ამ მიზნით ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ აღმოსავლეთ ევროპის მწირმიწიან სახელმწიფოებთან.

ნიადაგმცოდნეების განმარტებით, ერთი სანტიმეტრი მიწის საფარის ჩამოყალიბებას (მით უმეტეს ნოყიერის) ასეულობით წელი სჭირდება. ესენი კი გაყიდვას უპირებდნენ.

ცნობისთვის: ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტების (ჩვენებურად „ნაციონალების“) ერთ-ერთი ბრალდება იყო ეკოციდი. ფაშისტებმა უკრაინაში მიწის საფარი მოხსნეს და გაიტაცეს, რამაც მოსავლიანობის კატასტროფული შემცირება და ათასობით ადამიანის შიმშილით სიკვდილი გამოიწვია.

ზ. ბ.

◎ ალიან-ჩალიანი

გაიხსნა „ამირან მუდმივის“ ვარსკვლავი

ძუთაისის მერიის წინ საკრებულოს თავმჯდომარეს ამირან ხვადაგიანს ვარსკვლავი „გაუხსნეს“. აღნიშნული ფორმით „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთმა ნაწილმა ამირან ხვადაგიანის საკრებულოს თავმჯდომარეობა გააპროტესტა.

ვარსკვლავს აწერია „ამირან მუდმივი“ და წითელი ვარდი ახატია. ვარსკვლავის დამადასტურებელი შესაბამისი დიპლომი კი ამირან ხვადაგიანს აქციის მონაწილეებმა კანცელარიის საშუალებით სამუშაო ოთახში ოფიციალურად შეუგზავნეს.

დაახლოებით ასეთივე შინაარსის აქცია ქუთაისში კვირასაც გაიმართა, როცა საკრებულოს თავმჯდომარის სახელობის სიმბოლური ქუჩა გახსნეს „ამირან მუდმივი 35“.

მოქალაქეებმა შსს-ს მიერ უკანონოდ ჩამორთმეული მანქანები ამოიცნეს

30-მდე პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს მათთვის გასულ წლებში ჩამორთმეული მანქანების უკან დაბრუნებას სთხოვს, — ამის შესახებ განცხადება ადვოკატებმა ირმა ჭკადუამ და ზურაბ ტაბიძემ გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გააკეთეს.

ადვოკატების თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2012 წლის დეკემბერში აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ძვირადღირებული ავტომანქანების უმეტესობა სამინისტროს უკანონოდ ჰქონდა მითვისებული, ამჟამად კი რეალური მეპატრონეები სამართლიანობის აღდგენისა და ქონების უკან დაბრუნების მიზნით გამოძიებას ითხოვენ. მათ შორის, ვინც შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე მიმართა, ორი დაზარალებული გივი თოდაძე და თემურ სამუშია პრესკონფერენციასაც ესწრებოდნენ.

გივი თოდაძის განცხადებით, მისი კუთვნილი ორი ავტომობილი „რეინჯროვერ სპორტი“ და „კრაისლერ 300“, რომელთა ღირებულება ჯამში 100 ათას დოლარამდე შეადგენს, საპროცესო გარიგების გაფორმების გარანტიის მიზნით სამინისტროსთვის გარკვეული სქემის შედეგად „საჩუქრად“ გადააცემინეს.

კერძოდ, როგორც თოდაძე ამბობს, პატიმრობაში ყოფნის დროს მანქანები მეუღლის სახელზე ჯერ მინდობილობით გადააფორმებინეს, შემდეგ მისმა მეუღლემ იძულებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთ-ერთი თანამშრომლის ახლობლის სახელზე გადააფორმა, საბოლოოდ კი ამ პიროვნებამ მანქანები სამინისტროს საჩუქრად გადასცა.

ამასთან დაზარალებულის თქმით, მას აქვს ინფორმაცია, რომ მისი კუთვნილი „რეინჯროვერ სპორტით“ კუდ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ლევან ქარდავას მეუღლე გადაადგილდებოდა, ხოლო მეორე ავტომანქანა „კრაისლერ 300“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ემსახურებოდა.

როგორც დაზარალებულები, ასევე ადვოკატები იმედს გამოთქვამენ, რომ დღეს, როდესაც ქვეყანას ახალი გუნდი მართავს, აღდგება სამართლიანობა და მათთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონება უკან დაუბრუნდებათ.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მის ბალანსზე არსებული ძვირადღირებული ავტომანქანების აუქციონის წესით გაყიდვასთან დაკავშირებით განცხადება გასული წლის 24 დეკემბერს გააკეთა.

„ოცნებაში“ შეპარული „ნაცები“ კანონის ძალით დაისჯებიან

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭო ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც რაიონული ორგანიზაციების დაფუძნების პროცესში დესტრუქციულ ქმედებას განახორციელებს, მკაცრ რეაგირებას აპირებს, — ამის შესახებ სპეციალური განცხადება პარტიის ცენტრალურ ოფისში პოლიტსაბჭოს სახელით პარტიის თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ გააკეთა.

მანანა კობახიძე დარწმუნებულია, რომ მთელ რიგ რაიონებში მომხდარი ინციდენტები იყო მართული და ამ პროცესების უკან დგას ის პოლიტიკური ჯგუფი, ვისაც არ აწყობს პარტია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბება და მისი სტრუქტურული გაძლიერება.

საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მანანა კობახიძემ აღნიშნა, რომ გამიზნულად ხორციელდება კონფერენციების ჩაშლა, დარბაზებში შეჭრა და სხვა დესტრუქციული ქმედებები. ამ კონტექსტში მან პირველ რიგში აქცენტი გააკეთა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“, ასევე მან დააფიქსირა ისიც, რომ არსებობს ეჭვი — სხვა პოლიტიკურ ძალებში „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ადამიანები არიან ჩანერგილნი, რომლებიც დამფუძნებელ კონფერენციებზე დესტრუქციულ ქმედებებს აწყობენ.

— მივმართავთ მათ, რომ ჩვენ ვიქნებით ძალიან მკაცრი იმ პირების მიმართ, ვინც შეეცდება განახორციელოს ასეთი ქმედებები, — განაცხადა მანანა კობახიძემ. მისი თქმით, რუსთავის ორგანიზაციიდან უკვე გაირიცხა სამი წევრი — ბერიძე, ჯალაღანია და ნანეტაშვილი, ხოლო ხონის რაიონის ორგანიზაციიდან — სანოძე.

ამასთან, როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, შს სამინისტროს გადაეცა სხვადასხვა ინციდენტებში მონაწილე პირთა გვარები, რათა უწყებამ დაადგინოს, თუ ვინ არიან ეს ადამიანები და რა კონკრეტულ დავალებებს ასრულებენ ისინი.

გამოძიება აგვიანებს საზოგადოებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას

ცისხის კადრებთან დაკავშირებით გამოძიება აგვიანებს საზოგადოებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განაცხადა. მისი თქმით, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, მეტი ინფორმაცია უნდა იყოს მოწოდებული ამ საქმესთან დაკავშირებით.

— ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყველაზე მაღალი ხარისხის პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა. ვფიქრობ, რომ იყო შესაძლებელი, მეტი სიახლე ჰქონოდა საზოგადოებას. რთული საქმეა, გრძელვადიანი პროცესია, დასაკითხია უამრავი ადამიანი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ გამოძიება აგვიანებს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას. თუმცა, ვიცი, რომ ინტენსიურად მიდის გამოძიება, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ინტერპრესი

◎ ნაყოფიერი ფენა

ხალხი უნდა გაფასებდეს

ზოგჯერ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოები ცდილობენ აამაღლონ იმ ქვეყნის მეთაურის ავტორიტეტი, რომელიც საკუთარი ხალხის თვალში ოდიოზურ ფიგურად გამოიყურება. მაგალითად, რომის პაპმა პიუს IX-მ, 1868 წლის 22 თებერვალს, ესპანეთის დედოფალი იზაბელა უმაღლესი ჯილდოთი — „ოქროს ვარდით“ დააჯილდოვა. ეს მოვლენა, სასახლის კარზე დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს, მაგრამ ხალხი გულგრილად და დამცინავად შეხვდა, რადგან დედოფლის ავტორიტეტი, საკუთარი ხალხის თვალში, თანდათანობით ეცემოდა. სასახლის კარზე სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტთა სიმრავლე, დედოფლის ფუქსავატური ცხოვრება, მისი სკანდალური კავშირები მრავალრიცხოვან საყვარლებთან, რომელთა შორის სასახლის უბრალო მოსამსახურეებიც იყვნენ, საყოველთაო აღშფოთებას იწვევდა. ამიტომ, რომის პაპისა და სხვა სახელმწიფოების მცდელობის მიუხედავად, 1868 წელს, ესპანეთში მოხდა რევოლუცია და იზაბელა ტახტიდან ჩამოაგდეს.

ქვეყნის მმართველს ხალხი პატივს თუ არ სცემს, უცხო სახელმწიფოები ვერ უშველიან.

ვაჟა თვალავაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხიდი კახეთის გზატკეცილზე (ლოჭინის ხევზე)

ესტაკადა კახეთის გზატკეცილზე (სატრანსპორტო კვანძი თბილისში შემოსავლელი გზისა და კახეთის გზატკეცილის გადაკვეთაზე)

გულზე გამავალი გზები

— ყველაფერს თავის ბოლო აქვს, ყველაფერი კი გზით იწყებაო, — ესაა ერთ-ერთი შესანიშნავი კინოფილმის „ყველაბამი ჩემი სატრფოსთვის“ შესავლის მართლაც გამორჩეული სიტყვები, რომლებიც წინამდებარე მასალის მომზადებისას გაგვახსენდა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის ადრესატი ბატონი ირაკლი ყანჩელი, რომელსაც დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა, ხიდებისა და გვირაბების, გზების მშენებელია, რომელმაც სამშენებლო და ინფრასტრუქტურის ამ ურთულეს სფეროში რამდენიმე ათეულ წელზე მეტ ხანს იმუშავა და საქართველოში ცოდნით, მაღალი პროფესიონალიზმით ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტია.

ბატონი ირაკლი ყანჩელი 1938 წლის 4 თებერვალს მოსამსახურის, მეგზევე ინჟინრის ოჯახში დაიბადა, რომელიც საქართველოში დარგის, მისი ხელმძღვანელი ორგანოს, საავტომობილო გზების სამინისტროს ჩამომყალიბებელსა და პირველ მინისტრთან გიორგი რობიტაშვილთან ერთად მუშაობდა. ამდენად ბატონი ირაკლის ოჯახში მეგზევეობა, შეიძლება ითქვას, ტრადიციული საინჟინრო-სამშენებლო სპეციალიზაციაა.

— რადგან გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის ატმოსფეროში ვიზრდებოდი, ბუნებრივია, რომ საინჟინრო დარგის ეს განხრა ბავშვობიდანვე მიზიდავდა. ამდენად, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელება ამ მიმართულებით გადავწყვიტე. 1956 წელს თბილისის რკინიგზისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ინსტიტუტში შევედი, რომელიც 1961 წელს ხიდების და გვირაბების სპეციალობით დავამთავრე, — ამბობს ბატონი ირაკლი. — ამავე წელს გზატკეცილების მთავარ სამმართველოში (ამჟამად ეს საგზაო დეპარტამენტია), ქ.თელავში დავიწყე მუშაობა ოსტატად, შემდეგ დამაწინაურეს სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად, სამმართველოს მთავარ ინჟინრად, სამმართველოს უფროსად, ხოლო მერე ტრესტის მმართველიც გავხდი. ჩემი მუშაობის იმ პერიოდმა 1961-დან 1993 წლამდე დრო მოიცვა.

ამ ხნის მანძილზე ბატონი ირაკლი ყანჩელის, თუ შეიძლება ითქვას, „სამშენებლო მოედანი“, ფაქტობრივად, მთელი საქართველო იყო, მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით არაერთი ხიდია აგებული, გზაა გაყვანილი ქვეყნის, ფაქტობრივად, მთელ ტერიტორიაზე — უკიდურესი აღმოსავლეთიდან მოყოლებული უკიდურესი დასავლეთით დამთავრებული, მათ შორის არაერთი ობიექტი აგებულია დედაქალაქშიც, რის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ბატონ ირაკლი ყანჩელის საინჟინრო მოღვაწეობაზე კონკრეტული შთაბეჭდილება რომ შეგექმნათ, პატივცემულო მკითხველო, იმ ობიექტების მოკლე და არასრულ ჩამონათვალს შემოგთავაზებთ, რომლებიც მისი უშუალო მონაწილეობით, სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობაზე მოღვაწეობის დროს აშენდა. ესენია, კერძოდ, თუშეთის გზის მშენებლობა, რა დროსაც აიგო ხელოვნური ნაგებობები, ხიდები, საყრდენი კედლები, მილები; თელავის რაიონში მდინარე თურდოზე ხიდი; ახმეტის რაიონში ხოდაშნის ხიდი; აფხაზეთში მდინარე იუფშარაზე (რიწის გზაზე) ხუთი ხიდი; სოფ.ლაფანყურში, მარმარილოს კარიერის გზაზე ხიდი; სოფ.ენისელში მდინარე ბოლია-ინწობაზე ორი ხიდი; მდინარე ხანისწყალზე ორი ხიდი და 10-კილომეტრის სიგრძის გზა; კურორტ საირმეში ორი ხიდი და გზა; აჭარაში, ბათუმის მახლობლად, მდინარე ჭოროხზე დანგრეული ხიდის აღდგენა; ბადიაური-ბაკურციხე-გურჯაანი-თელავის და ბაკურციხე-კარდენახ-ლაგოდეხის გზა თავისი ხელოვნური ნაგებობებით; სიღნაღის რაიონში ენამთის მისასვლელი გზა.

მრავალწლიანი წარმატებული საინჟინრო მოღვაწეობის აღსანიშნავად და დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდმა ბატონ ირაკლი ყანჩელს „მშენებელი რაინდის“ საპატიო წოდება მიანიჭა.

შემდგომ ბატონი ირაკლი ყანჩელმა სამსახურებრივი კიბით ზესვლა დაიწყო და მთავარ ინჟინრად მუშაობის პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტი აშენდა საქართველოში მისი ხელმძღვანელობით. ესენია, კერძოდ, თბილისში, გაგარინის მოედანზე ახლანდელი საქართველოს ბანკის შენობა; სოფ.ფასანაურში სამხედრო ობიექტი (თავშესაფარი); სოფ.მლეთაში ორბელიანების წყარო; თბილისში ლითონკონსტრუქციების ქარხანა.

მერე კი, სამმართველოს უფროსად მუშაობისას, ბატონი ირაკლი ყანჩელის ხელმძღვანელობით გაიყვანეს ვაზიანი-გომბორის გზის 7-კილომეტრიანი მონაკვეთი, ნატახტარი-ყაზბეგის გზის 154-ე კილომეტრზე ხიდი ააგეს; გაიყვანეს სოფ.უდაბნოში გზა საგარეჯოს რაიონში; პირველად საქართველოში დაიწყო ავტობანის მშენებლობა თბილისი-იგოეთი; სოფ.სართიჭალაში, მდ.იორზე, ასევე მდ.ლოჭინზე ხიდები აიგო; მარნეული-წერაქვის, ლოჭინი-რუსთავის, ასევე თბილისის შემოსავლელი გზები გაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ ტრესტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობის დროს ბატონი ირაკლი ყანჩელი ცხრა საგზაო-სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობდა, რომლებმაც იმ წლებში ხელოვნური ნაგებობები ააგეს და სამანქანო გზები გაიყვანეს მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართველი მეგზევე ინჟინრის ხელმძღვანელობით მეზობელ სომხეთსა, ასევე საჩხერის რაიონში მიწისძვრით დაზიანებული საავტომობილო გზების აღდგენა-მშენებლობა.

1994 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 2000 წლამდე ბატონი ირაკლი ყანჩელი რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში მოღვაწეობდა, სადაც კერძო სამშენებლო ფირმა შექმნა და მისი ხელმძღვანელობით მრავალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დასაქმდა. ქართველი ინჟინრის ხელმძღვანელობით ამ ექვსი წლის მანძილზე რუსეთში რესტავრაცია გაუკეთდა ისეთ ისტორიულ ძეგლებს, როგორებიცაა: პუშკინოში, სოფრინოში, მოსკოვში რიგის, ყაზანის, ლენინგრადისა და საველიევის სარკინიგზო სადგურები, რკინიგზის ორი პოლიკლინიკა. ამჟამად ბატონ ირაკლი ყანჩელის მიერ დაფუძნებული შპს „გზამშენპროექტი“, რომლის ძირითადი საქმიანობა საგზაო-სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურეობაა, მეტად მნიშვნელოვან პროექტს, კორეულ ფირმა „დოჰვასთან“ ერთობლივად ასრულებს — ესაა ქ.ქობულეთის ახალი შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის ზედამხედველობა, ასევე ვაკე-საბურთალოს გვირაბის დაპროექტება და ყაზახეთში ავტობანის მშენებლობაზე ხიდების პროექტირება.

უნდა ითქვას, რომ რუსეთში მოღვაწეობა ქ.მოსკოვის რკინიგზის უფროსმა და დედაქალაქის მერმა პირადი მადლობებით დაუფასეს ბატონ ირაკლი ყანჩელს, მრავალი ჯილდო დაიმსახურა მან მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის შედეგადაც: საპატიო საკავშირო სიგელი „პირველი ყამირელი“ (ყამირის ათვისებისთვის); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი; „საპატიო ნიშნის“ მედალი და ორდენი, „საპატიო გზის მუშაკის“ წოდება; სამი გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო გამოფენებზე; „შრომის ვეტერანის“, ასევე „ხალხთა მეგობრობის“ და „დიდების“ ორდენები, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრობა...

ცალკე აღსანიშნავია ბატონ ირაკლი ყანჩელის მთელი შრომითი, საინჟინრო მოღვაწეობის მანძილზე კოლეგებთან, საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალთან, რიგით მუშებთან თბილი, საქმიანი და, ამავე დროს, მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც დიდი კოლექტივის თითოეულ წევრზე ზრუნვით გამოისახება. მასალის მომზადებისას რამდენიმე მათგანს შევხვდით და უფროს კოლეგასა და მეგობარზე რამდენიმე სიტყვის თქმა ვთხოვეთ.

შპს „გზამშენი-4“-ის გენერალური დირექტორი რეზო ჩახვაშვილი: ბატონ ირაკლის 1979 წლიდან ვიცნობ, როცა ახალბედა ინჟინერმა № 11 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში დავიწყე მუშაობა, სადაც გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად ახალგაზრდა ინჟინრებიც ვმუშაობდით. სხვა უფროს კოლეგებთან ერთად ბატონი ირაკლი საქმიანობას დამრიგებლურადაც უძღვებოდა და, ამავდროულად, თავადაც გვაძლევდა საკუთარი ცოდნა-უნარის გამოვლენის შესაძლებლობას. დღესდღეობით უმცროსი კოლეგები და მეგობრები ძველებურად ვგრძნობთ მის მხარდაჭერას, თანადგომას როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში — გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე ინჟინერია, რომელმაც არაერთ მნიშვნელოვან პროექტს, რომ იტყვიან, „სიცოცხლე აჩუქა“, უძვირფასესი მეგობარი, გვერდში დამდგომი, საუკეთესო მამულიშვილია, რომელსაც ყველანი ვემადლიერებით და მის მოწაფეებად ვთვლით თავს.

ყოფილი იურისტი, მთავარი ინჟინერი ოთარ სალარიძე: ბატონ ირაკლი ყანჩელს 1962 წლიდან, იმ დროიდან ვიცნობ, როცა თელავში მუშაობა დავიწყე და მას შემდეგ ჩვენს საქმეს ერთად ვემსახურებით. თვალის ერთი გადავლებით, თითქოს უცნაურიცაა ჩვენი ურთიერთობა — დრო იყო, როცა მე ვიყავი ბატონი ირაკლის უფროსი, შემდგომ იგი იყო ჩემი ხელმძღვანელი, მაგრამ ამდენი ხნის მანძილზე მუდამ შეხმატკბილებულად ვმუშაობდით. მინდა გითხრათ, რომ ბატონი ირაკლი საუცხოო სპეციალისტია, რომელსაც საქმისადმი სიყვარული ახალბედობიდანვე ეტყობოდა. მერე ამას პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება დაემატა, რაც თავგამოდებულ, პატიოსან შრომას მოსდევს ხოლმე და ასე ჩამოყალიბდა უმაღლესი რანგის სპეციალისტად. დროდადრო ჩვენი შრომითი ბიოგრაფიები იყრებოდა, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე ერთმანეთი თვალთახედვიდან არ გამოგვრჩენია, როგორც პროფესიული საქმიანობით, ისე მეგობრულად. სულითა და გულით ვულოცავ ჩემს მეგობარსა და კოლეგას 75 წლისთავს, ჯანმრთელობასა და წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ.

— როცა კი ბატონ ირაკლი ყანჩელზე ვფიქრობ, პროფესიულის გარდა პიროვნული ურთიერთობები მახსენდება, რომლებიც მასთან წლების მანძილზე მაკავშირებს, **— თქვა სამშენებლო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გურამ ვახტანგიშვილმა.** — საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ბატონი ირაკლი დიდებულ პროფესიონალთა შორის კაცობით, ოჯახიშვილობით გამორჩეული პიროვნებაა, რომელსაც უდიდეს პატივს მივაგებ.

მამულიშვილობასა და მეგობრობაში გამორჩეული, პროფესიონალი, უზადოდ მცოდნე, ჭეშმარიტი ქართველი, სათაყვანებელი ადამიანი, ბატონი ირაკლი ყველას გვიყვარს.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი, საქართველოს მშენებელთა ფედერაცია

მშენებარე ვიადუკი ქობულეთის შემოსავლელ გზაზე.

ხიდი მდინარე ნატანებზე, ქობულეთის შემოსავლელ გზაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უკანასკნელი ინტერვიუ

ᲘᲣᲓᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ გარდაცვლილი ადამიანის სულის მოსახსენიებელს, მართლმადიდებლებისგან განსხვავებით, 30-ე დღეს გადაიხდიან.

5 თებერვალს აღნიშნავენ შესანიშნავი პოეტის, მთარგმნელის, ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ აჯიაშვილის გარდაცვალებიდან 30-ე დღეს.

ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სამწუხაროდ, უკანასკნელი გამოდგა.

თურმე ძალიან ავად იყო. მაგრამ ვერ შევამჩნიე. თურმე მელაპარაკებოდა კაცი, რომელიც მარადიულობაში გადასასვლელად ემზადებოდა, და არ ვიცოდი.

შემდეგ უკვე, როცა კიდევ და კიდევ დავუბრუნდი ამ ჩანაწერს, შევამჩნიე, რომ აშკარად ეტყობოდა მარადიულის ნიშანი. ის ნიშანი, რომელიც ბიბლიიდან მოდის, რომელიც გენიალური ებრაული პოეზიის თანამდევია და რომელსაც მან გვაზიარა, უბადლო ქართულით მისეული თარგმანებით.

იცოდა, რომ უკურნებელი სენი დღეებს უთვლიდა. არ იმჩნევდა. იბრძოდა და არ ნებდებოდა.

გაიმარჯვა იმ ბრწყინვალეებით, რომლითაც მოცულია მისი სული ღმერთის საუფლოში. გაანათლოს!

ᲛᲝᲜᲣᲡᲣᲚᲘ ვუსმენდი. იგი ლაპარაკობდა სამოციანი წლების ირანზე, დღევანდელ ისრაელზე, ბიბლიაზე, შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ბრწყინვალებაზე, რომელიც ქართულად ამოაშროშანა ჯემალ აჯიაშვილმა:

გამოდი გარეთ, ჰოი, გამოდი, მზეო,
სალბუნო სალმობიერთა,
ცა, რომელზედაც მოკამკამობდი,
საგანთიადოდ გალმობიერდა.
უკვე მთოვარე ჩამზიანდა ტბათა
ზოლებში —
ხილვად ამო და მშვენებითა
ბროლთა მბაძველი
და დარბაზობენ მოზეიმე დარბაზონებში
აღზევებული მოდარბაზენი.
(ᲘᲔᲰᲣᲓᲐ ᲰᲐᲚᲔᲕᲘ)

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲚᲔᲑᲘ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

და გამახსენდა, როგორ თქვა რეზო ამაშუკელმა ჯემალ აჯიაშვილზე, ძველი ებრაული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშების მისეულ თარგმანზე როცა ვლაპარაკობდით: დიდი პოეტის ნათარგმნებიაო.

პაუზა.

და გაიმეორა: მართლა ეგრეაო!

ჯემალ აჯიაშვილთან ვიყავი სტუმრად, მთაწმინდის ძირას, ბარნოვის მე-19 ნომრის ორსართულიან სახლში. სახლი, რა თქმა უნდა, ძველია, ბინა, რა თქმა უნდა, — გაურემონტებელი... ჭეშმარიტი ინტელიგენტები დღევანდელ საქართველოში ასე ცხოვრობენ.

სიძველის სურნელება.

რელიქტის განუმეორებლობა.

წინა საუკუნიდან გადმოყოლილი უბრალოებისა და მაღალი სულიერების უნიკალური ნაზავი, რომლის არსი, ტიხრული მინანქრის საიდუმლოებასავით ამოუხსნელი, დავიწყების პირსაა მისული.

გვავიწყებინებენ. როგორც გაზაფხულს გვავიწყებს ზამთარი.

თუ უფრო მეტად მოგვანატრებს? აგვამხედრებს ქარიშხლის ფრთებზე, რადგან ქარიშხლები ზამთარში იბადებიან:

სძინავთ ეზოებს, სძინავს ჭიშკარს...
ხოლო დარბაზი
ჩაგმანულია საიმედო კლიტე-საცავით;
მაგრამ ღრიჭოში ქარიშხლების
სუნთქვა იჭრება, —
მოდის ზამთარი ჯადოსნური
ზმანებასავით.
(ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ ᲕᲘᲕᲐᲚᲓᲘ)

თბილისში თებერვალია და ვერის უბნის ტროტუარებზე მიყინულ თოვლს ჯერ ვერ ერევა გაზაფხულისკენ გადაგორებული მზე, რომელსაც, როგორც ვატყობ, ჯემალ აჯიაშვილის სამუშაო ოთახის ფანჯრებში შემოულალია რეკრუტირებული სხივები თვისი.

თბილა. ვსაუბრობთ. ვავსებთ ანკეტას.

— დაიბადა

— 1944 წლის 23 მარტს. სენაკში.

— დაამთავრა...

— სენაკის მე-2 საშუალო სკოლა. პირველ წელიწადს, ანუ 1961 წელს, უნივერსიტეტში ვერ ჩავირიცხე — ყველა საგანში „ხუთიანი“ მივიღე, ქართულში — „ოთხი“.

— აუჰ! (ვიცინით).

— რაღაც უცნაური წესი მოქმედებდა მაშინ — „მაპროფილებელი საგნების პრიორიტეტი“. არადა, ქართული ვიცოდი თუ ვიცოდი — ზეპირად ყველაფერი.

— ვინ იყო მაშინ ქართულის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე?

არ ამბობს. შეეუჩნდი. არ თქვა.

— სტუდენტობისას კი მასწავლიდა (მეორე წელიწადს მაინც ჩავირიცხე). სულ მეფერებოდა. ღმერთმა აცხონოს, კარგი კაცი იყო... მერე კი გავიგე, რომ ის ადგილი ვიღაც ერთისთვის ყოფილა გათვალისწინებული, რომელსაც მე გადავაწერინე გამოცდის დროს.

— დაამთავრა...

— 1967 წელს დავამთავრე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სპარსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. მაშინ ამ ფაკულტეტზე ასწავლიდნენ მეცნიერების კორიფეები — გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, დავით კობიძე... რა ვიცი, ვინ დავასახელო. დიდი სკოლა იყო აღმოსავლეთმცოდნეობის. ვახუშტიც მასწავლიდა, კოტეტიშვილი.

(ვახუშტის ვიხსენებთ, ჩემს თანაკლასელს, ვისთან ერთადაც 11 წლის განმავლობაში ერთ მერხზე ვისხედით, ისე დავამთავრეთ სტალინის სახელობის თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა. მის მრავალმხრივ ნიჭიერებაზე ვისაუბრეთ, მის პოეტურ თარგმანებზე და ბოლო წლებში გამოქვეყნებულ სონეტებზე. შემდეგ ირანს მივადექით, კერძოდ, ჯემალ აჯიაშვილის სპარსეთში მუშაობის პერიოდს — თეირანსა და ისპაჰანში მოღვაწეობას).

„ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ“

— ირანში თარჯიმნად მუშაობისას ბევრი საინტერესო ამბავი გადამხდა. ერთხელ გავიგე, რომ ჩემგორდანის მახლობლად ქართულწარწერიანი საფლავები იყო. მძღოლს წაყვანა ვთხოვე.

საღამოვდებოდა, ირანში კი უცებ ღამდება. ვაჩქარებდი მძღოლს... და მოხდა საშინელი ავარია: ოთხნი ვიყავით, ერთი გარდაიცვალა, ორი მძიმედ დაშავდა, მე უვნებლად გადავრჩი. ბეწვზე. ერთი სიტყვით, ვერ ვნახეთ საფლავები. ალბათ, ღმერთს არ უნდოდა...

უზარმაზარი რიგები იდგა მაშინ საბჭოთა კავშირის საელჩოსთან — ფერეიდნელი ქართველები სამშობლოში ჩამოსვლას ისწრაფოდნენ.

დიდი ტალღა იყო. ყოველ პარასკევს ჩამოდიოდნენ და მოსაკითხი ჩამოჰქონდათ ჩვენთან.

— პარასკევობით?

— ჯუმე — პარასკევი, მუსლიმთა დასვენების დღეა; ებრაელებისთვის — შაბათი; ქრისტიანებისთვის — კვირა.

— აწყობილი გვაქვს საათივით (ვიცინით).

— ყურძენი ჩამოჰქონდათ.

— აქვთ ვენახები?

— კი. ყველაფერი აქვთ. „პატრონი, დიდი საქართველოდან არის პატრონი“, — იტყოდნენ ჩვენზე. პატრონებს გვეძახდნენ.

ასეთი შემთხვევაც მახსოვს. ჩემგორდანთან შემომაღამდა.

— ჩემგორდანი?

— პატარა დაბასავითაა. მის ახლომახლო შენდებოდა უზარმაზარი ქალაქი — არია-შაჰრ. შაჰი აშენებდა — რეზა ფეჰლევი. „შაჰრ“ სპარსულად ქალაქია, ე. ი. არიას ქალაქი. არია — არიელები, მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს. ხშირად მიხდებოდა იქ ჩასვლა. ჰოდა ერთხელ შემომაღამდა. მანქანა მჭირდებოდა. შუაღამისას მივადექი ავტოსადგომს და მორიგე გავაღვიძე.

— სადაური ხარო? — მეკითხება.

— შურავი, — ვუპასუხე (შურავი საბჭოელს ნიშნავს).

— ჩვენც შურავის გვეძახდნენ ავღანეთში, — ჩავურთავ.

— მიყურებს. შენ შურავის არ გავხარო, — სპარსულად მეუბნება. — საქართველოდან ვარ-მეთქი, ვუპასუხე სპარსულადვე. — საქართველოდან ხარ, პატრონო?! — გაიხარა მასპინძელმა. იმ წუთში გააღვიძა ვიღაცა, მომცა მანქანა და გამიშვა.

— საბჭოთა კავშირი მაშინ ირანს აქტიურად ედგა მხარში.

— დიდი მეტალურგიული ქარხანა შენდებოდა ისპაჰანთან. შაჰი რამდენიმეჯერ მოვიდა მშენებლობაზე. ფოლადის უზარმაზარ კორპორაციას, რომელიც, ფაქტობრივად, სახელმწიფო იყო სახელმწიფოში, ხელმძღვანელობდა შაჰთან დაახლოებული პირი, დოქტორი შეიბანი. ახლა, ალბათ, არცაა ცოცხალი: ეს დამთხვეულები რომ მოვიდნენ, არა მგონია დაენდოთ. მისი კორპორაციის ერთი სეგმენტი იყო მშენებარე მეტალურგიული კომბინატი.

ვუთარგმნიდი ამ დოქტორ შეიბანის რუსულიდან სპარსულად და პირუკუ. — ამ ბიჭმა ასე კარგად სად ისწავლა რუსულიო?! — გაუკვირდა დოქტორს ძალიან (ვიცინით).

სამი წელიწადი ვიმუშავე ირანში.

ჭეშმარიტება, ქართულად

შეხვედრა ჯემალ აჯიაშვილთან

— შაჰი რამდენიმეჯერ ჩამოვიდა მშენებლობაზეო, თქვით თქვენ, ბატონო ჯემალ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მონარქზე?

— ევროპული, დახვეწილი ადამიანი ჩანდა. ჩამოსვლისთანავე ეფექტს ახდენდა იმით, რომ თვითონ მართავდა ვერტმფრენს. მანქანიდან ჩამოსვა მძღოლი, თვითონ მიუჯდა საჭეს. ეს მაშინ იშვიათობა იყო.

მესამე ცოლი ჰყავდა მაშინ, რომელზეც ოცი წლით უფროსი იყო, განათლებული ქალბატონი წარჩინებული გვარიდან. პირველი ცოლი ეგვიპტელი პრინცესა გახლდათ, რომელიც, სხვათა შორის, შაჰის მესამე ცოლთან ერთად სწავლობდა სკოლაში. შაჰი მაშინ ახალგაზრდა კაცი იყო, დროსტარების მოყვარული. როგორც ამბობდნენ, წავიდა ის ქალი ეგვიპტეში და აღარ დაბრუნებულა. მეორე ცოლი — ცნობილი სორეია იყო, ულამაზესი ქალი. შარშანწინ გარდაიცვალა. თბილისშიც არის ნამყოფი... შარიათის წესით, თუ ხუთი წელიწადი ცხოვრობს შაჰი ცოლთან და ტახტის მემკვიდრე არ იბადება, უნდა გაიყარონ. ამათ არ ეყოლათ. შაჰმა სთხოვა მეჯლისს 2 წლით ვადის გაგრძელება. გაუგრძელეს, მაგრამ — უშედეგოდ. გაიყარნენ, სხვა გზა არ ჰქონდათ, თუმცა შაჰს ძალიან დაენანა. კულუარებში ყვებოდნენ, რომ სორეია წავიდა ჰოლივუდში, წაიღო შაჰის დიდძალი ქონება (უმდიდრესი კაცი იყო რეზა ფეჰლევი), გაჰყვა ვიღაც იტალიელ მილიონერს და მეცხრე თვეზე ეყოლათ ვაჟი. ამ ამბავმა თურმე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მესამე ცოლმა შაჰს ოთხი შვილი აჩუქა: პირველი ვაჟი იყო.

ირანში რომ ჩავედი, შაჰს ახლად მინიჭებული ჰქონდა ერთპიროვნული იმპერატორის ტიტული. ტრიუმფალური მსვლელობა მოეწყო, ზეიმი, რაკი ტახტის მემკვიდრე 7 წლის გახდა.

— დღევანდელ ირანზე იტყვით რამეს?

— უმდიდრესი კულტურის ქვეყანაა, იმდენად ძლიერია იქ კულტურული ტრადიციები, რომ პარალელურად იმისა, რაც დღეს ხდება, დარწმუნებული ვარ, სხვა, გამჭოლი პროცესებიც მიმდინარეობს. ფუნდამენტალიზმი, რა თქმა უნდა, მძლავრობს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ ეს გარდამავალი ეტაპია. მე რატომღაც ოპტიმისტურად ვაფასებ ვითარებას. ასე ვარ განწყობილი იმიტომ, რომ კულტურა ადრე თუ გვიან მაინც თავისას იზამს, საუკუნეებში გამოტარებული კულტურა! ჩემს იქ ყოფნაში ირანის სამეფოს 25 საუკუნის იუბილე გადაიხადეს. 1971 წელს გაიმართა ეს გრანდიოზული ზეიმი პერსეპოლისთან, სპარსელები მას თახთე ჯამშიდს უწოდებენ. სპარსეთის მეფე კიროს დიდი, იგივე, ქორუში, რომელიც ბიბლიაში მოხსენიებულია როგორც გულქველი მეფე, ლამის მესია, ვინც დიდი სიკეთე მოუტანა ებრაელებს — ბაბილონიდან განდევნილი ებრაელობა კიროსის ბრძანებით დაუბრუნდა იერუსალიმს. ისრაელის დღევანდელ ქალაქებში არის კიროსის ქუჩები... ახლა, როცა ასეთი დაპირისპირებაა ირანსა და ისრაელს შორის, სინანულით ვფიქრობთ იმ გამოუყენებელ რეზერვებზე, იმ დიდ ისტორიულ წანამძღვრებზე, რაც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას აქვს. თავის დროზე უფრო ინტენსიურად რომ წარმართულიყო ამ ხალხების კულტურულ-კონფესიური დიალოგი, მათი ურთიერთგადაძახილი, შესაძლოა, სიტუაცია ასეთ ჩიხში არ მოქცეულიყო. კულტურას, თუნდაც გარკვეულწილად, შეეძლო თავისი სიტყვა ეთქვა.

***არავისთვის არაა საიდუმლო**, რომ ამ გეოპოლიტიკურ პროცესებში საქართველოს ფაქტორი ფრიად მნიშვნელოვანია...*

ჰოდა, იმ ზეიმზე შაჰი და დედოფალი წარსდგნენ კიროს დიდის აკლდამის წინაშე. შაჰმა სიტყვით მიმართა სამეფოს დამაარსებელს და ეს მიმართვა მთავრდებოდა სიტყვებით: „ასუდე ხაბ ქე მა ბიდარიმ!“ — „იძინე მშვიდად, რამეთუ ჩვენ ვფხიზლობთ!“

— ეს სიფრთხილე სიმშვიდით არ დამთავრდა.

— დიახ, მოვიდა ხომეინი.

ᲚᲐᲨᲝᲜ ᲰᲐᲙᲝᲓᲔᲨ — ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲔᲜᲐ

სპეციალობა — სპარსული ენა და ლიტერატურა. თარგმნა კიდეც სპარსული კლასიკის ნიმუშები, მაგრამ მისმა ნიჭმა, მისმა პოეტურმა ფრაზამ ფრთები განსაკუთრებული სილაღით ანდალუსიის ებრაელი პოეტების, შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის თარგმანებში გაშალა.

დღეს ამაზე ვისაუბრებთ, თორემ მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა მსოფლიო ლიტერატურაზეა განვრცობილი — ძველეგვიპტური საგალობლები, დავით მეფის ფსალმუნები, დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს სონეტები, შექსპირის, ჩიკამაცუს, ტირსო დე მოლინას, კარლო გოცის დრამატული პოემები, რილკეს, ნელი ზაქსის, მაიაკოვსკის, მანდელშტამის, პასტერნაკისა და სხვათა ლექსები.

— ვინ გასწავლათ, ბატონო ჯემალ, ძველებრაული?

— ეს ენა — ლაშონ ჰაკოდეში, წმინდა ენად წოდებული, ყოველდღიურ სამეტყველო პრაქტიკაში არ იხმარებოდა. ძველი დიდებიდან ებრაელებს მხოლოდ ერთადერთი სიმდიდრე დარჩათ — ბიბლია, „ჯიბის სამშობლო,“ როგორც მას ჰაინრიჰ ჰაინემ უწოდა. ამ ენამ წმინდა ენის სტატუსი შეიძინა, რომელსაც დევნილი ებრაელობა დედამიწის ზურგზე თავისი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რომელიც გაცხადდა

მოგზაურობის დროს თან დაატარებდა. მუსლიმთა წინასწარმეტყველი მუჰამედი ებრაელებს „წიგნის ხალხად“ მოიხსენიებს, არაბულად — აჰლუ ქითაბ.

ბიბლიის ენა ღვთაებასთან გასანდობი ენაა. გრიგოლ რობაქიძე „გველის პერანგში“ ირუბაქ ირუბაქიძეს რომ ახასიათებს, წერს: „ღმერთებს მარტო ჰებრაულით თუ დაელაპარაკები“. იგი ორადორ შემთხვევაში იხმარებოდა: ლოცვაში — ღვთისმსახურებასა და პოეზიაში.

რუსთაველი რომ ამბობს — საღმრთო საღმრთოდ გასაგონიო, ასეთი იყო მათთვის პოეზიის ენა. მასში იყო ჩავანებული „რუახ ელოჰიმ“ — სული უფლისა.

— ეს არ არის იდიში.

— არა, რა თქმა უნდა. იდიში შუა საუკუნეებში გერმანული ენის ბაზაზე შეიქმნა, ყოფითი ენა, местечковый язык, რომელიც თავისთავად დიდი კულტურის მატარებელია.

ლაშონ ჰაკოდეშით ლოცულობდნენ ქართველი ებრაელები.

ტრადიცია იყო ასეთი: ხუთი წლის რომ გახდებოდა ბავშვი, მოიწვევდნენ რჯულის მოძღვარს და ასწავლიდნენ ამ ენას. რაბინი ან რაბინზე დაბალი რანგის მოძღვარი დადიოდა ოჯახებში და ასწავლიდა ამ ენას. მიყვებოდა რაბინი საინტერესო ისტორიებს ბიბლიიდან — როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო, როგორ დაამარცხა დავითმა გოლიათი და ა. შ. თან ნელნელა მაპარებდა ამ ენას. ასე „შემიშხაპუნეს“ ეს ენა, რომელსაც მეტწილად სულიერების მოძღვრები ფლობდნენ.

ლაშონ ჰაკოდეშზე შეიქმნა ძველი ებრაული პოეზია, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ბიბლიაზე ორიენტირებული ლიტერატურა, ეს იყო სინთეზი დიდი ანდალუსიური კულტურისა. ესპანეთი მაშინ მუსლიმური ქვეყანა იყო. ე.ი. ბიბლიური სულისკვეთება და მუსლიმური აღმოსავლეთის დიდი კულტურული ნაკადი, ნილოსის ნაპირებიდან დაძრული — მათი ურთიერთშერწყმა და შეზავება, მაგრამ დომინანტური მაინც ებრაულია. დამეხმარა სპარსულის ცოდნა და ის არაბულიც, რომელსაც უნივერსიტეტში გვასწავლიდნენ.

— ეს პოეზია როგორ შემოვიდა თქვენში? ამას ხომ არ გასწავლიდნენ...

— არა, ამას არავინ მასწავლიდა. ეს პოეზია იყო „ტერა ინკოგნიტო“ — ჩვენში არავინ იცოდა მისი არსებობა. განა იმიტომ, რომ დიდი პოეტები არ იყვნენ. ჰაინრიჰ ჰაინე მათ ბრწყინვალე თანავარსკვლავედს უწოდებს. მაგრამ თვით ბედმა ებრაელებისამ განსაზღვრა, რომ ვერ ჩაჯდა ევროპულ ლიტერატურულ პროცესებში, განცალკევებით არსებობდა. ისრაელის სახელმწიფოებრიობა რომ აღდგა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოებში მოექცა.

ჩემი მეგობარი იცხაკ დავიდი, პოლიგლოტი, რომელიც ახლა ამერიკაში ცხოვრობს, ადრე კი ისრაელში ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანაშემწე გახლდათ, აღმოსავლელი ებრაელების საკითხებში მისი მრჩეველი, ყოველთვის დიდი და მდიდარი ინფორმაციის მატარებელი იყო.

ერთ მშვენიერ დღეს, მაშინ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, შინ რომ ვეწვიე (თბილისის ებრაულ უბანში ცხოვრობდა), წამიკითხა ამ პოეზიის ნიმუშები. მომეწონა და ვთარგმნე. მაშინ ჟურნალი „ხომლი“ ახალი დაარსებული იყო. მივუტანე ბატონ ვახტანგ ჭელიძეს და მან მეორე ნომერშივე „ხეთქა!“

ძალიან ვუმადლი ვახტანგ ჭელიძეს, რადგან ახალგაზრდულ წლებში, როცა არ იცი, საით მიდიხარ, როგორ მიდიხარ, მით უმეტეს, როცა ეკონომიურად მაგრად ვერ დგახარ, გამომიქვეყნა ეს ერთიც და შემდეგ — მეტი და მეტი, წამახალისა და წელში გამმართა. კარგი კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა... და წავიდა და წავიდა.

— პირველი წიგნი როდის გამოეცით?

— 1979-ში დაიბეჭდა... მაშინ ჭირდა ებრაული, მეტადრე — ბიბლიაზე ორიენტირებული ლიტერატურის შოვნა.

ნისან ბაბალიკაშვილი, ცნობილი რაბინის შვილი, თავადაც ცნობილი მეცნიერი, ჩემი მეგობარი, დამეხმარა. ისრაელთან კარგი კავშირი ჰქონდა და მიშოვა შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების ოთხტომეული. მეტი წილი იქიდან ვთარგმნე.

79-ის შემდეგ კიდევ ორჯერ გამოიცა.

— გამოდის, რომ ენას თქვენ თვითონ დაეუფლეთ. თვითნასწავლი არა, მაგრამ რაღაც ამგვარი, არა?

— ჰო. მერე-მერე კი თანამედროვე ენაც ავითვისე. ისევეა, როგორც ძველი ქართული ახალ ქართულთან. ვინმე რომ მოვიდეს და „შუშანიკის“ ენით დაგველაპარაკოს, ამგვარი სხვაობაა.

— შუშანიკის ენა კი არა...

— ჩვეულებრივი ქართულით რომ ელაპარაკები ხალხს, ის უკვირთ დღეს. გოიმობის ნიშანია, ან უარესი.

— გოიმი უგნურ არაებრაელს ნიშნავს, მგონი.

— კი, ნიშნავს. ***უბედურებაა, რომ ტელე და რადიოდიქტორები ქართულ სიტყვებს ინგლისური პრონონსით უქცევენ. აი, გოიმობა ეგაა, პროვინციალიზმი.***

ნებისმიერი კულტურა თავისთავად დიდი მოვლენაა. მაგრამ, შე დალოცვილო, ამოდენა ზურგი გაქვს შენი ქვეყნის კულტურის... გალაკტიონს რომ აქვს, ხომ გახსოვთ: „მაინც ვრჩებით ქართველებად, თუ არ გაგვაესკიმოსეს“.

— ჩვენ თვითონ „ვესკიმოსდებით“?

— ღმერთმა ნუ ქნას!.. თითოეული კულტურა, ვიმეორებ, უზარმაზარი განძია. უნდა იცნობდე. აუცილებლად! კაცმა თუ სხვა ერის კულტურა იცის, იმ ერის მტერი არასოდეს გახდება. მეც ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი კულტურული ფასეულობები გადმოვიტანო ქართულად — მუსლიმური იქნება ეს, ქრისტიანული თუ ებრაული. ყველა ერთმანეთს ავსებს.

კულტურული კარჩაკეტილობა, ფუნდამენტალიზმი — არც მინდა, ეს ტერმინი ვიხმარო, საშინელეებაა. ყველა კულტურა, კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, ფასეულია თავისთავად. ქართული კულტურის ჰეგემონია ყოველთვის იგრძნობოდა. არავინ დამძრახავს, თუ ვიტყვი, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ან ეკონომიკური გიგანტი, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქების ბედნიერ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, მაგრამ კულტურული ჰეგემონია მაინც გვქონდა, საბჭოთა პერიოდშიც — ნებისმიერ დარგში. როცა ამ ყველაფერს ძალიან დაბალი რანგის მასკულტურა ენაცვლება, სრულიად გაუგებარია!

„ო, ენავ ჩემო...“

— ბატონო ჯემალ, თქვენი შემოქმედების, ასე ვთქვათ, „ებრაული შემადგენელი“ გავარკვიეთ, მაგრამ ქართული? ეს საოცარი ქართული საიდან შემოვიდა თქვენში? ვერ წარმომიდგენია, რომ თარგმანზე მუშაობისას ლექსიკონების გალავანში იყოთ ჩაკეტილი და საჭირო სიტყვებს მის სათოფურებში პოულობდეთ.

— ლექსიკონებით შეკონწიწებულ ნათარგმნს, ბოდიში მომიხდია, ნაფტალინის სუნი ასდის.

მეგრულ გარემოში ვიზრდებოდი და მეგრულად ავიდგი ენა. შინ ქართულად ვმეტყველებდით. ზოგჯერ მამაჩემი და დედაჩემიც ისეთ სიტყვებს ხმარობდნენ, რომ არ მესმოდა მათი მნიშვნელობა, მაგრამ მერიდებოდა ამის სახალხოდ აღიარება, იმიტომ, რომ ვფიქრობდი, ეს იყო ებრაულის რაღაც დანაშრევები — უცხო სხეული, რომელიც ენას ანაგვიანებს. მაგრამ, როცა შემდეგ უნივერსიტეტში ვისწავლე ძველი ქართული, დიალექტოლოგია, აღმოვაჩინე, რომ ქართული სიტყვები იყო. ებრაელები ცხოვრების სპეციფიკური წესის გამო ჰერმეტულად ინახავდნენ თავიანთ ცოდნას. საქართველოში თითქმის სამიათასწლოვანი ცხოვრების მანძილზე ბევრი ისეთი სიტყვა შემოინახეს, რაც „პრაქტიკულ ქართულში“ დიდი ხნის ამოღებულია ხმარებიდან.

ეს ერთი.

მეორე. რაბინი ბიბლიას მასწავლიდა ებრაულად და ქართულად. ოღონდ როგორი ქართულით, იცით? ჩემთვის უცნაური იყო ის ქართული — ხუთი წლის ბიჭს მასწავლიდნენ ძველი ქართულით ნათარგმნ ბიბლიას, რომელსაც ქართველი ებრაელები „თავსილს“ უწოდებენ. თავის დროზე ებრაული სჯულის მოძღვრები ბიბლიას ქართულად ისე თარგმნიდნენ, რომ იგი გასაგები ყოფილიყო მრევლისთვის. ეს მრევლი შემოსულია მცხეთაში 2600 წლის წინათ. სავარაუდოა, რომ 200 წლის შემდეგ ბიბლიური ენა პრაქტიკულად უკვე დავიწყებული ჰქონდათ და წმინდა ტექსტები თავიანთი ლიტურგიკული წესების აღსასრულებლად ქართულად თარგმნეს. მაგრამ რაკი ბიბლიის ნებისმიერი სიტყვის შეცვლა მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა, ძველი ქართულით ნათარგმნები დააკანონეს და ასე მოდიოდა და მოდიოდა თაობიდან თაობაში.

როცა კუმრანის მიდამოებში ჩანაწერები იპოვეს, 1947 წელს, ფასდაუდებელი გრაგნილები...

— კუმრანი თუ ყუმრანი?

— ქართულად ყუმრანი. თუმცა, თუ არაბულ არტიკულაციას მოვიშველიებთ, კუმრანი უფრო მართებულია. „ყამარ,“ „კამარ“ მთვარეს ნიშნავს. კამარაც აქედან მოდის. მთვარის კულტი იყო იმ მიდამოებში და იქიდან წამოვიდა — კუმრანი... ჰოდა, ის, 2000 წლის წინანდელი ჩანაწერები თანამედროვე ტექსტს ისე დაემთხვა, რომ სიტყვა არ იყო შეცვლილი.

ეს ძველი ქართულით ნათარგმნიც ამ პრინციპითაა შემორჩენილი...

სიტყვამ მოიტანა და ქართულის შესანიშნავი მასწავლებლები მყავდა სკოლაში. ჟიული შარტავა ჩემთან ერთად სწავლობდა და ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით.

შემდეგ — უნივერსიტეტი, ქართული ლიტერატურა...

სიტყვის ხმარებისას ალღოც გჭირდება, თორემ არაჩვეულებრივი „ლექსიკური ერთეული“ შეიძლება ისე უადგილოდ გამოიყენო, რომ მკვდრადშობილი აღმოჩნდეს. ისეთ კონტექსტში უნდა ჩასვა, რომ ქმედითი იყოს. ზოგჯერ დაახვავებენ სიტყვებს — თვალის მომჭრელია, მაგრამ ისეთ გარემოშია მოქცეული, რომ არაფრის მთქმელია.

— თქვენი თარგმანები თავისუფალი თარგმანია თუ დედანთან მიახლოებული?

— თვითონ ლექსი გიკარნახებს, როგორ მიუდგე. არის ისეთი, რომელიც კანონიკურივით მკაცრია, მაგალითად, ფსალმუნები, არის ისეთი, რომელმაც დღევანდელ ლიტარუტურულ პროცესში უნდა მიიღოს მონაწილეობა, მოითხოვს — მოახდინე ჩემი ვარირება, რათა ცოცხალი ვიყო, არ მოვკვდეო. არ გააკეთებ ასე და მართლაც ჩაკვდება და, ხშირად მითქვამს, ქრესტომათიულ კუბოებში ასვენია.

— ლიტერატურული კრიტიკა როგორ აფასებდა თქვენს შემოქმედებას?

— ძალიან თბილად. ბევრი დაიწერა.

— თქვენი პირველი თარგმანები, როგორც თქვით, ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიბეჭდა.

— დიახ, უნივერსიტეტის გაზეთსა და „პირველ სხივში“ — 1964-66 წლებში.

— ეს ის პერიოდია, როცა, რბილად რომ ვთქვა, ისრაელი არ შედიოდა საბჭოთა კავშირის მეგობართა წრეში, ე. ი. ძალაში იყო საბჭოური იდეოლოგიური წნეხი, თავისი გაყინული დოგმებითა და ცენზურით. რით შეგიძლიათ ახსნათ ლიბერალიზმი, რომელიც თქვენ მიმართ გამოიჩინეს?

— საქართველოს განსაკუთრებულობით, რითაც ყოველთვის ვიყავით გამორჩეული საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და იმ პრიორიტეტულობით, რომელზეც უკვე ვილაპარაკე.

— დღეს ბევრგან გაიგონებთ, რომ დასავლეთისკენ, კერძოდ, ამერიკისკენ ფანჯარა იმ წლებში სრულიად დახშული იყო.

— მე მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ, რომელიც 1979 წლით თარიღდება. იმ წლებში საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იყო ნუგზარ ფოფხაძე, ტელევიზიის ლიტერატურული გადაცემების მთავარ რედაქციას ხელმძღვანელობდა სოსო პაიჭაძე. მაშინ მომზადდა და ეთერში გავიდა თითქმის საათიანი გადაცემა ჩემ მიერ თარგმნილ შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაზე.

— მახსოვს. ეს მოხდა „პერესტროიკამდე“ 5-6 წლით ადრე.

— აი, რას წერდა თავის წამყვან სტატიაში გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ გადაცემიდან ორი კვირის შემდეგ (კითხულობს):

„1979 წლის გაუგონარი ტელესანახაობა საბჭოთა კავშირის ისტორიაში.

ეს იყო 50-წუთიანი ტელეპროგრამა შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიაზე. საჩვენებელი დრო საგანგებოდ იყო შერჩეული — საღამო, როცა ყველაზე მეტი მაყურებელი უზის ტელეეკრანებს. მთელი გადაცემა გამსჭვალული იყო ებრაული კულტურის, რელიგიისა და ეროვნული ტრადიციების მიმართ უაღრესი პატივისცემითა და სიმპათიით. მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ საქართველოს ლოკალურ არხზე, რაც მიუთითებს საქართველოს ებრაელთა განსხვავებულ მდგომარეობაზე...“

(„ნიუ იორკ ტაიმსი“, 1979 წელი, 17 დეკემბერი).

აქ ორი ფაქტორია გამოსაყოფი. პირველი — ქართული ტრადიციული დამოკიდებულება ზოგადად ებრაული ფენომენისადმი. მეორე: არა მგონია, რომ უკანასკნელი როლი ითამაშა ლიტერატურულმა დონემაც (ამას ვამბობ ყალბი თავმდაბლობის გარეშე).

წიგნის გამოცემის ფაქტი ცნობილმა რუსმა ლიტერატორებმა ასე შეაფასეს: Фантастика! რუსულადაც იყო ამ პოეტების ლექსები თარგმნილი... 30 წელიწადი იდო მოსკოვის საგამომცემლო უჯრაში. ბოლოს და ბოლოს, ჩემი წიგნის გამოსვლიდან 6 წლის შემდეგ, როგორც იქნა, გამოქვეყნდა, მაგრამ არა რუსეთში, არამედ ისრაელში... ვერ ვიტყვი, რომ დიდი ლიტერატურული მოვლენა იყო. ფაქტი ის არის, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან პირველად საქართველოში გამოიცა.

— ისრაელში როგორ შეაფასეს?

— 1998 წელს ისრაელის აწ განსვენებულმა პრეზიდენტმა ეზერ ვაიცმანმა მომანიჭა მთავრობის ჯილდო — ე. წ. „ღირსების სიგელი.“

— ახლა რას თარგმნით?

— ახლა უფრო ჩემს ლექსებზე ვმუშაობ.

— მადლობელი ვიქნები, თუ ჩამაწერინებთ სულ ახალ ლექსს ჩვენი გაზეთის „მკითხველების ალბომისათვის“, ვთქვათ ასე.

— სიამოგვნებით. იტალიური ურთულესი სონეტის ფორმითაა დაწერილი ეს ლექსი.

ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან
რაღაც ხუთი თუ ექვსიოდე წელი
გავიდა,
მაგრამ უეცრად სამყაროში გაჩნდა
ნაპრალი,
— ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან.
სამკლად სხვა მინდვრებს
სთავაზობენ
ნადს თუ მამითადს,
სულ სხვა ჯიში და მოდგმა მოდის —
დედით, მამითაც.
და სხვა მზით ცრუობს შემოდგომის
დღე შესაბრალი —
ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან.
მალე გახვალ და გამოღმიდან გაღმა
გამიტან, —
ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან.
სხვა დღე იბარტყებს, სხვანაირი
მზით და ბარტყებით —
იჭვით, იმედით, წარღვნის წყლებით
და ცისარტყელით, —
ეს ჩამჩურჩულა მომაკვდავმა ჩემმა
მამიდამ —
ოცდამეერთე საუკუნის დასაბამიდან.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

P. S. ჟამის წარმავლობაზე წერდა ათი საუკუნის წინათ იეჰუდა ჰალევი, ქადაგის პირით გვაფრთხილებდა, უნდოაო ჟამი.

მაგრამ მე მაინც ამ ჟამს ვენდობი და ვიმედოვნებ, რომ ცთომილებით სავსე ქვეყანაში კიდევ და კიდევ შევხვდები ჯემალ აჯიაშვილს და საშუალება მომეცემა დაწვრილებით ვესაუბრო იმ საკითხებზე, რომლებსაც ამ პუბლიკაციაში გაკვრით შევეხეთ და რომლებიც მხოლოდ ერთი მხარეა მისი მდიდარი შემოქმედების. ხოლო ჭეშმარიტება, რომელიც იმავე ჰალევის აზრით, „გვიცდის გადაღმა“, ცოტას კიდევ მოიცდის. არ დაილევა, რადგან მისთვის უჟამო ჟამია სრულად გარანტირებული.

ბ. ს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მე და ჩემი სამშობლო!

სალარო აპარატი,

ანუ ხომ არ დაგვეარსებინა „კეთილსინდისიერი გადამხდელის“ ტიტული?

ამ ბოლო დროს თბილისში (სხვაგანაც) ისევ დაიწყო აქციები სალარო აპარატების გაუქმების მოთხოვნით. გადასახადების შემცირებაზე რომ იყოს საუბარი, კიდევ მესმის. ახალ საგადასახადო კოდექსს რომ აპროტესტებდნენ, პირადად მეც დავუჭერდი მხარს: რედაქტორს და ჟურნალისტს აბდაუბდის მეტი რა წამიკითხავს, მაგრამ საგადასახადო კოდექსივით გაუგებარ-არეული, ულოგიკო, ბევრი ვერაფერი რომ ვერ გავუგე და. მთავარმა ინჟინერმა გვიმასპინძლა. ოდიკმა კორესპონდენციისთვის საჭირო მონაცემები ჩაიწერა და, მიუხედავად ჩვენი გულწრფელი თხოვნისა (მე მეჩქარებოდა), მასპინძელმა უპურმარილოდ არაფრით არ გამოგვიშვა. გაირკვა, რომ ჩემი კარგი ნაცნობის ძმა იყო, რაც დამატებით საბაბად გამოიყენა და მუშათა სასადილოს ასეთი შემთხვევებისათვის საგანგებოდ მოწყობილ კაბინეტში შეგვიძღვა.

ისეთი, პრაქტიკაში მცირე თუ შემხვედრია. **ამაზე აუცილებლად უნდა იფიქრონ ფინანსთა სამინისტრომ და პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა (და, საერთოდ, ყველამ, ვისაც ჩვენი ქვეყნის წინსვლა და აყვავება უნდა!)**

ღმერთმა შემინდოს, თუ ვცოდავ, მაგრამ სალარო აპარატის წინააღმდეგ ის იბრძვის, ვისაც იგი ქურდობაში უშლის ხელს. კაცი, რომ ვთქვათ 100 ლარ მოგებას მიიღებ და რაღაც პროცენტის (პროცენტის რაოდენობაზე, **მის დიფერენცირებაზე,** კი ბატონო, ვიდავოთ!) სახელმწიფოს ბიუჯეტში ჩარიცხვა არ გინდა, რა კაცი ხარ?! მით უმეტეს რა პატრიოტი და რა მამულიშვილი ხარ?!

ჩემი აზრით, სალარო აპარატის გამოყენებით მარტო შენი შემოსავალი და, შესაბამისად, გადასახადი არ იანგარიშება. სალარო აპარატის გამოყენებით იზომება შენი შეგნება და ის, თუ რამდენად უდგახარ გვერდში შენს სამშობლოს! მარტო „სუფრის პატრიოტიზმი“ დიდი ვერაფერი ბედენაა!

* * *

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ასეთი ამბავი:

ერთხელ ჩემს უახლოეს მეგობარს, ცხონებულ ოდიკ ქუხილავას, რომელიღაც საწარმოში გავყევი. რადაქციის დავალებით საგაზეთო მასალას ამზადებდა. უფროსი არ დაგვხვდა. მთავარმა ინჟინერმა გვიმასპინძლა. ოდიკმა კორესპონდენციისთვის საჭირო მონაცემები ჩაიწერა და, მიუხედავად ჩვენი გულწრფელი თხოვნისა (მე მეჩქარებოდა), მასპინძელმა უპურმარილოდ არაფრით არ გამოგვიშვა. გაირკვა, რომ ჩემი კარგი ნაცნობის ძმა იყო, რაც დამატებით საბაბად გამოიყენა და მუშათა სასადილოს ასეთი შემთხვევებისათვის საგანგებოდ მოწყობილ კაბინეტში შეგვიძღვა.

ქართულ სუფრას, მოგეხსენებათ, თავისი წესები აქვს და სამშობლოს სადღეგრძელოს თქმის დროს მასპინძელი ასეთ ამბავს მოგვიყვა:

— ადრე სხვაგან ვმუშაობდი. საკმაოდ ძლიერი სამშენებლო საწარმო იყო. უფროსი, საშუალო ხნის ებრაელი, დიდი მოხერხებული ვინმე გახლდათ. საერთაშორისო და სხვადასხვა სახელმწიფოების დახმარების ფონდების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში საოცრად ადვილად იმარჯვებდა. სამშენებლო-სარემონტო პროექტები მისმა ფირმამ ჩვენს ქვეყანაშიც განახორციელა. მე გაერთიანებული საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსად ვყავდი დანიშნული. მენდობოდა და ვმეგობრობდით კიდეც. როგორც ინჟინერ-სპეციალისტსაც წუნს ვერ დასდებდი, მაგრამ ფული უყვარდა ძალიან და მისი „კეთების“ მართლაც ნამდვილი დიდოსტატიც იყო. რაც უნდა მოგვენდომებინა და რანაირი ხარჯთაღრიცხვაც არ უნდა შეგვედგინა, ერთს გადახედავდა და იმწუთშივე აღმოაჩენდა დამატებით „რეზერვებს“. 30-40 პროცენტს თუ არ „მოტეხავდა“, ისეთ საქმეს ხელს არ მოჰკიდებდა. თვითონაც ხომ ხვეტდა ფულს, მაგრამ, ტყუილს ვერ ვიტყვი, არც თანამშრომლებს ტოვებდა უკმაყოფილოს.

ერთხელ ერთ-ერთ სერიოზულ მორიგ პროექტს ისრაელის სახელმწიფო აფინანსებდა. ჩვენმა განყოფილებამაც, რაც შეიძლებოდა, მოვინდომეთ და, ჩვენი აზრით, წუნს რომ ვერ დასდებდა, ისეთი ხარჯთაღრიცხვა დავუდეთ წინ.

როგორც კი გადახედა ქაღალდებს და ნახაზებს, ფერი ეცვალა, გაფითრდა-გაყვითლდა კაცი:

— ეგ რამ გაფიქრებინათ?! — თქვენ მე ვინ გგონივართ?! მე, ებრაელმა კაცმა, ისრაელს უნდა მოვპარო ფული?! — გაგიჟდა, გადაირია კაცი!

რამდენიმე დღის ნაშრომი წყალში ჩაგვეყარა. ყველაფერი თავიდან გაგვაკეთებინა: კაპიკ-კაპიკ დავსვით ყველაფერი მართლაც თავის ადგილას.

— მეგობრებო, ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს! — დაასრულა ამბის თხრობა ჩვენმა მასპინძელმა.- ამ სადღეგრძელოს თქმა კი გვიყვარს ჩვენ ქართველებს, მაგრამ ყველას არა აქვს მისი თქმის უფლება. სამშობლო მარტო „ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტი“... არ არის: სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, აქ მცხოვრები ადამიანები ვართ! ჰოდა, მოდით, ჩვენს სამშობლოსთან ერთად ყველა იმ ადამიანსაც გაუმარჯოს, ვისაც ამ სადღეგრძელოს თქმის მორალური უფლება აქვს! აი, იმ ებრაელ კაცს რომ ჰქონდა დამოკიდებულება თავისი ქვეყნის მიმართ, ისეთი რომ გვექნება ქართველებს ჩვენი სამშობლოს მიმართ, მაშინ წავალთ წინ და დავემსგავსებით ღირსეულ და საამაყო სახელმწიფოს! — ჭიქა მოგვიჯახუნა მასპინძელმა.

მურად ჟანტურია,
შპს „პრესა-იალონის“ დირექტორი
და მთავარი რედაქტორი

P. S. ჩემს „ტიტულს რომ შეავლებს თვალს კაცი, დიდი საწარმოს დირექტორი და გვარიანი ფულის პატრონი ვეგონები. სინამდვილეში ერთ პატარა (10 000 მცხოვრებამდე) ქალაქში გვაქვს საწარმო, რომლის წლიური ბრუნვა დაახლოებით 12000 (თორმეტი ათას) ლარამდეა. გადასახადებს, ცხადია, კეთილსინდისიერად ვიხდით და დარჩენილი თანხით ხუთი თანამშრომელ-მეგობარი ოჯახებს ვინახავთო, ვერ ვიტყვით, მაგრამ სახლში ჩვენ-ჩვენი წილი კი შეგვაქვს.

ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, ნორმალურმა სახელმწიფომ უნდა იფიქროს იმაზე, რომ რაიონებში და ასეთ პატარა ქალაქებში საწარმოთა დაბეგვრის განსხვავებული წესი (მეთოდი, ტარიფი...) იყოს. ამით ამ ბოლო დროს თავკომბალასავით მზარდი დიდი ქალაქებიც განიტვირთება და ძვეყანაც პროპორციულად განვითარდება.

მაგრამ შენც თუ არ დაეხმარე შენს სახელმწიფოს, ისე არაფერი გამოვა!

შეცდომისგან არავინ არაა დაზღვეული, მაგრამ თუ ვინმემ შემოსავლის განზრახ დაფარვაში გამოგვიჭირა (სალარო აპარატის გარეშე თუნდაც ნ თეთრის აღებაზე ლაპარაკიც არ მინდა. ეს, უბრალოდ, ქურდობაა!), სამშობლოს საღეგრძელოს სათქმელად ჭიქას არასოდეს ავიღებ ხელში (ან რა სინდისით ავიღო?!)!

* * *

აძვე მინდა, ერთი იდეაც შევთავაზო ჩვენს მთავრობას (ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურს...): დავაარსოთ „კეთილსინდისიერი გადამხდელის“ ტიტული (რაც გინდა დავარქვათ), რომელსაც რაღაც ფორმით (ვიმპელი, დიპლომი....) თვალსაჩინო ადგილზე ჩამოკიდებდა (დადებდა, მიამაგრებდა...) მეწარმე. ტიტულის მინიჭებისას არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა სოფლის პატარა კიოსკში მუშაობს კაცი თუ უზარმაზარი ქარხნების მფლობელია. სინდისიერება საწარმოს მასშტაბებით არ იზომება! მე, პირადად, ნებისმიერ სახელმწიფო ორდენზე ნაკლებ არ ვიბამდეგდი ამ ტიტულით! ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ საკითხზე ჩემსავით კიდევ ვინმე არ ფიქრობდეს ჩვენს ქვეყანაში (სამშობლოში!).

მ. ჭ.

◎ ინფორმაცია

გერმანულმა კომპანია „პფაიფერმა“, შესაძლოა, აფხაზეთში ქარხანა გახსნას

გერმანული კომპანია „პფაიფერი“ ოკუპირებულ აფხაზეთში საკვები პროდუქციის მწარმოებელი ქარხნის გახსნას აპირებს. ამის შესახებ აფხაზურ მედიას ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა გერმანული ფირმის ხელმძღვანელის მანფრედ პფაიფერის სიტყვებზე დაყრდნობით განუცხადა.

მისივე თქმით, გერმანელი ბიზნესმენი აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ მიიღო, სადაც სტუმარს აფხაზეთში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე და საინვესტიციო გარემოზე ესაუბრა.

— თავის მხრივ, პფაიფერმა ისაუბრა მის გეგმაზე, რომელიც გულისხმობს აფხაზეთში მაღალი ხარისხის კვების პროდუქციის მწარმოებელი ქარხნის გახსნას, რომელიც ადგილობრივ სანატორიუმებზე, გამაჯანსაღებელ ცენტრებსა და სასტუმროებზე იქნება გათვლილი, — აცხადებენ დე ფაქტო საგარეო უწყების პრესსამსახურში.

ინტერპრესი

დედამიწის ზურგზე

მიუნპენის კონფერენციაზე აშშ-მ რუსეთს შერიგება შესთავაზა ბირთვული იარაღის საშუალებით

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გამოვიდნენ უშიშროების ამ საერთაშორისო ფორუმზე, აგრეთვე ისაუბრეს დახურულ კარს მიღმა. მართალია, ერთი მეორის მისამართით გაისმოდა პრეტენზიები, მაგრამ შედეგების მიხედვით გამოითქვა ოპტიმიზმი. აღსანიშნავია, რომ სწორედ მიუნპენის ტრიბუნიდან ოთხი წლის წინათ ბაიდენმა მოგვიწოდა „თითი დავაჭიროთ განტვირთვას“.

სირიაში გატაცებული რუსეთელები გაათავისუფლეს - როგორც ჩანს, გამოუსყიდავად

ვიქტორ გორელოვი და აბდესატარ ჰასუნი, რომლებიც ინჟინრებად მუშაობდნენ ფოლადსამსხმელო წარმოებაში ჰომსის მახლობლად, მძევლებად იყვნენ თითქმის ორი თვის განმავლობაში. მათთვის მოითხოვდნენ 700 ათას დოლარზე მეტს, მაგრამ შედეგად მოილაპარაკეს გაეთავისუფლებინათ ისინი ფულის გარეშე. გაათავისუფლეს ასევე რუსეთელებთან ერთად გატაცებული იტალიელიც. ყველა ჯანსაღადაა და თავს ნორმალურად გრძნობს.

პარიზელ ქალბატონებს პირველად 214 წლის განმავლობაში ოფიციალურად მისცეს ნება - აბარონ შარვლები

საფრანგეთში გააუქმეს კანონი, რომელიც მიიღეს ჯერ კიდევ 1799 წელს და რომელიც უკრძალავდა ქალებს ატარონ „მამაკაცის ტანსაცმელი“ დედაქალაქში პოლიციის უფროსის სპეციალური ნებართვის გარეშე. აშკარად მოძველებულ წესს დიდი ხნის განმავლობაში ინახავდნენ, როგორც „იურიდიული არქეოლოგიის“ ნაწილს.

პოლიტიკური კრიზისი სერბეთში: პრემიერი გამოააშკარავეს ნარკოკარტელებთან კავშირურთიერთობებში

ეჭვი აქვთ, რომ პრემიერ-მინისტრი და შეთავსებით სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ივიცა დაჩიჩი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ სატელევიზიო გათამაშების მსხვერპლი გახდა, არის კავშირში დარკო შარიჩის კლანთან, რომელსაც ეძებს სერბეთის ხელისუფლება ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებით. სკანდალი იმუქრება მთავრობის გადადგომითა და ვადამდელი არჩევნებით.

დაზუსტება

2013 წლის 6 თებერვალს ოთხშაბათს, 11 საათზე, დაბა გომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის შენობაში გაიმართება E-60 მაგისტრალის აგარა დიდი სათივე, კმ114-კმ126 მონაკვეთის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მაკა სტამატელს, ტელ: 599 196839, ელ-ფოსტა: mszgc@access.sanet.ge; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595 219141. likabubashvili@yahoo.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„მაგთიკომში“ პორტირებით ორჯერ მეტი აბონენტი შემოვიდა, ვიდრე წავიდა

„მაგთიმ“ ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე ლიდერობა განიმტკიცა

შარშანდელი წლის მიწურულს, კომპანია „მაგთიკომმა“ სახელმწიფო კონსოლიდირებულ ტენდერში გაიმარჯვა. კავშირგაბმულობის ბაზარზე დიდი ცვლილებების ხანა დაიწყო. სავარაუდოდ, გაიზრდება კომპანიის საბაზრო წილი. ამ ეტაპზე ყველაზე თვალსაჩინოდ მიმდინარე ცვლილებები პორტირების შედეგებზე აისახა. თუმცა, აშკარად იგრძნობა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

უკვე დამდგარ შედეგებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრება კომპანია „მაგთიკომის“ მარკეტინგის დირექტორი ირაკლი ლობჟანიძე.

—კონსოლიდირებულ სამთავრობო ტენდერში „მაგთიკომმა“ სრულიად გამჭვირვალე ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გაიმარჯვა. ჩვენ დაინტერესებულ მხარეს კონკურენტებთან შედარებით უკეთესი ფასი შევთავაზეთ და, აქედან გამომდინარე, მომსახურების მიმწოდებლად სწორედ „მაგთიკომი“ შეირჩა. ჩვენმა გამარჯვებამ კარდინალურად შეცვალა სურათი ბაზარზე. ერთი, რაც ახლავე შეიძლება ითქვას, ისაა, რომ **„მაგთიკომში“ პორტირების შედეგად შემოსული აბონენტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და დღევანდელი მონაცემებით, ჩვენთან უკვე 95 ათასზე მეტი აბონენტია გადმოსული, რაც თითქმის ორჯერ აღემატება ჩვენგან წასული აბონენტების რაოდენობას.**

რა თქმა უნდა, ეს იმოქმედებს ბაზრის წილის გადანაწილებაზე. ბაზრის წილის მონაცემები თებერვლის პირველ რიცხვებში უკვე დათვლილი იქნება, ამის შესახებ ინფორმაციას ცალკე გავავრცელებთ. ამ ეტაპისთვის პორტირების მაჩვენებელი ერთადერთი ინდიკატორია, რომელიც ძალიან იმედის მომცემი და საინტერესოა, ანუ „ჯეოსელიდან“ და „ბილაინიდან“ 47 ათასით მეტი აბონენტი მოვიდა „მაგთიკომში“, ვიდრე ჩვენგან წავიდა ამ კომპანიებში. პორტირების შედეგად კომპანიაში შემოსული აბონენტების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება, ვინაიდან სამთავრობო სტრუქტურები ეტაპობრივად გადმოდიან ჩვენს ქსელზე. ამიტომ საბოლოო ჯამში, როდესაც ეს პროცესი დასრულდება, ძალიან დიდი სხვაობა იქნება „მაგთიკომის“ სასარგებლოდ.

— რა გარანტიები არსებობს, რომ აბონენტების რაოდენობის ასეთი ზრდის პირობებში ხარისხი იგივე დარჩება?

— გარანტია, უწინარესად, ისაა, რომ მნიშვნელოვანი რეზერვები გვაქვს და არსებული რესურსი ბევრად აღემატება იმ მოთხოვნას, რაც დღეისთვის არსებობს, ანუ ქსელში არის უზარმაზარი რესურსი იმისთვის, რომ დამატებითი ტრაფიკი ხარვეზების გარეშე გადაამუშაოს.

— მიიღებენ თუ არა სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები იმაზე უკეთეს პირობებს, ვიდრე ჰქონდათ?

— რა თქმა უნდა, ბევრად უკეთეს პირობებს მიიღებენ. უწინარესად, ყველა სტრუქტურის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები ერთმანეთში უფასოდ ისაუბრებენ. გარდა ამისა, ქსელისა და ჯგუფის გარეთ ზარები, 5-თეთრიანი ზარის წამოწყებით, „მაგთიკომის“ დანარჩენ აბონენტებთან და ასევე, „ჯეოსელის“ მომხმარებლებთანაც უფასოა, რაც ხარჯებს ძალიან მნიშვნელოვნად შეამცირებს.

— შეიძლება ითქვას, რომ კონსოლიდირებული ტენდერი „მაგთიკომისთვის“ პირველი მასშტაბური პროექტი არ ყოფილა.

— დიახ, მართალია. აქამდე იყო ერთიანი სამთავრობო ქსელის პროექტი და „მაგთიკომი“ იყო ერთადერთი კომპანია, რომელმაც შეძლო ამის გაკეთება. გარდა ამისა, იყო სკოლების ინტერნეტიზაციის პროექტიც, რომელიც სხვა კომპანიებმა ვერ განახორციელეს და ამ ამოცანას თავი მხოლოდ „მაგთიკომმა“ გაართვა, ანუ ყველა საჯარო სკოლა ჩართო ერთიან ქსელში და სწორედ ამ ქსელით ძალიან დიდი წარმატებით, უხარვეზოდ ჩატარდა პირველი ეროვნული გამოცდები.

— რომელ ბრენდზეა ყველაზე მეტი მოთხოვნა?

— რადგან არსებობს როგორც გარე, ისე შიდა პორტირება, ნებისმიერ აბონენტს შეუძლია აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი სატარიფო გეგმა და შესაბამისი ბრენდი. ამიტომ, ამ შემთხვევაში ბრენდი აღარ არის აქტუალური და აქცენტი უკვე ოპერატორზე კეთდება.

ამ ტენდერის შედეგად კი, ბუნებრივია, რომ დატვირთვა ბრენდ „მაგთიზეა“, ვინაიდან სამთავრობო უწყებებს „მაგთის“ ბრენდით ვემსახურებით. შესაბამისად, ყველა აბონენტი „მაგთიზე“ გადმოდის, თუმცა, ჩვეულებრივ მომხმარებელში, ანუ არაკორპორაციულ მომხმარებელში „ბანი“ ლიდერობს.

— ხელშეკრულება რა პერიოდით იდება?

— ვინაიდან ასეთი დიდი რაოდენობის მომხმარებელზე პირველად ვაწვდით ასეთი ტიპის მომსახურებას, ტენდერი სამი თვით გამოცხადდა. სამი თვის შემდეგ, სავარაუდოდ, მეორე ტენდერი ჩატარდება. ისეთი სატარიფო პოლიტიკა, როდესაც ქსელის გარეთ, ანუ „ჯეოსელის“ მიმართულებით 5-თეთრიანი ზარის წამოწყებით წუთი არის უფასო, პირველად განხორციელდა. ამიტომ საჭიროა დაკვირვება, თუ რას გამოიწვევს ეს ბაზარზე. რას გამოიწვევს ეს თავად ქსელის დატვირთვის კუთხით. ვთვლით, რომ სამთვიანი პერიოდი ჩვენთვისაც ხელსაყრელია. გვექნება საშუალება, რომ რეალურად შევაფასოთ ამ სამი თვის განმავლობაში ფინანსურად რამდენად მომგებიანი იქნება ტენდერის პირობები კომპანიისთვის. თავის მხრივ, სამთავრობო სტრუქტურებიც ჩამოყალიბდებიან, რა არის მათთვის პრიორიტეტი. შეიძლება მათი პრიორიტეტი შეიცვალოს. ამ ეტაპზე ძირითადი პრიორიტეტი ქსელის გარეთა ზარები იყო. შესაძლებელია მოხდეს პრიორიტეტების გადახალისება.

— ვთქვათ, სხვა რამ გახდა პრიორიტეტი, ვთქვათ იგივე ინტერნეტის ფასი. გაუწევს თუ არა „მაგთიკომი“ კონკურენციას სხვა ოპერატორებს?

მობილური ინტერნეტის კუთხით ქსელი მთელს საქართველოშია განვითარებული. დიდ ქალაქებში გვაქვს „ეიჩბი“+ტექნოლოგია, რომელიც იდეალურ შემთხვევაში 21 მეგაბაიტამდე წამში სიჩქარეს უზრუნველყოფს, საშუალო სიჩქარე ქვეყნის ტერიტორიაზე მერყეობს 3-4 მეგაბაიტამდე წამში და ეს სიჩქარე სრულიად საკმარისია. რაც შეეხება საფასო პოლიტიკას, რა თქმა უნდა, ფასები არის კონკურენტული. რაც უფრო დიდი მოცულობის პაკეტს ყიდულობს მომხმარებელი, მეგაბაიტის ფასი მით უფრო დაბალია. ჩვენი მობილური ინტერნეტის ფასები ერთ-ერთი ყველაზე დაბალია საქართველოში.

— რა შეიცვალა „მაგთიკომში“ ტენდერის მოგების შემდეგ?

— მოხდა შიდა სტრუქტურული გადახალისება. აბონენტთა მომსახურების განყოფილებაში შეიქმნა ცალკე ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ტენდერის შედეგად მოსულ სამთავრობო ორგანიზაციებს მოემსახურება. ამაში იგულისხმება ცხელი ხაზის მომსახურებაც.

ესაუბრა
გია გაბრიჭიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ქართული ღვინო რუსეთში სულ მცირე 300 რუბლი ეღირება

ამ შემთხვევაში, თუ რუსეთის ბაზარზე ქართულ ღვინოს დაუშვებენ, ერთი ბოთლი ქართული ღვინო რუსეთში სულ მცირე 300 რუბლი ეღირება. ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის მთავარ სანიტარ გენადი ონიშჩენკოსთან შეხვედრის შემდეგ ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

—„ქართული ღვინო არ იქნება იაფი. ერთი ბოთლის ფასი 300 რუსული რუბლიდან იქნება“, — განაცხადა დავითაშვილმა. 7-კაციანი ქართული დელეგაცია გუშინ, ქართული ღვინის და მინერალური წყლების რუსეთის ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით რუსეთის მთავარ სანიტარს, გენადი ონიშჩენკოს შეხვდა. ქართული სასმელები რუსულ ბაზარზე, სავარაუდოდ, გაზაფხულის ბოლოდან შევა.

ფარმაცევტული პროდუქციის გაცემის წესებს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება დაარეგულირებს

სპეციალურ ბრძანებას დავით სერგეენკომ ხელი უკვე მოაწერა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ფარმაცევტული პროდუქტის ორიგინალური შეფუთვის დაშლის და დაფასოების გზით პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისთვის შესაბამისი რაოდენობით/დოზით სამკურნალო საშუალების გაცემა ნებადართულია ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში). ასევე, ფარმაცევტული პროდუქტის ხელახალი შეფუთვა და ხელახალი ეტიკეტირება ნებადართულია მხოლოდ რეალიზაციის მომენტში. მინისტრის ბრძანებით, დაუშვებელია ფარმაცევტული პროდუქტის ხელახალი შეფუთვის დაშლა განმეორებით ხელახალი შეფუთვის მიზნით.

მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, ფარმაცევტულ საქმიანობას ფარმაცევტული განათლების ან დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტი განახორციელებს.

დაუშვებელია ნიტროგლიცერინის შემცველი ფარმაცევტული პროდუქტებისა და შუშხუნა ტაბლეტების რეალიზაცია ორიგინალური პირველადი შეფუთვის დაშლით.

მოთხოვნის შემთხვევაში, აფთიაქებმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის ფარმაცევტული პროდუქტის გამოყენების ინსტრუქციის ქართულენოვანი ვერსიის მიწოდება, ასევე თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს ინფორმაცია, ქართულენოვანი ინსტრუქციის პაციენტზე გაცემის შესაძლებლობის შესახებ.

კულტურის სამინისტროში თემურ ჭკუასელის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ჟურნალისტისა და ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრის თემურ ჭკუასელის წიგნის „სიმღერით გამთბარი მიწა“ პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრები, ხელოვანები, კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, მისი მოადგილეები მარინე მიზანდარი, მანანა ბერიკაშვილი და ალექსანდრე მარგიშვილი, მინისტრის მრჩევლები გიორგი გეგეჭკორი, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, ლევან ერისთავი, ქარუმ წერეთელი და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას თემურ ჭკუასელმა განაცხადა, წიგნში შესულია ორი ლიტერატურული წერილი, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდეა დაწერილი და ასევე ლიტერატურული სცენარი სახელწოდებით „სიმღერით გამთბარი მიწა“.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ძიუდო

ოქრუაშვილის ოქრომ ბრინჯაოს ხანას აგვაცილა

ერთი „ოქრო“, ამდენივე „ვერცხლი“ და 6 „ბრინჯაო“ — ასეთი მონაგრით დაასრულა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა სეზონის და ახალი ოლიმპიური ციკლის პირველი ტურნირი — ევროპის თასი. ასპარეზობის ბოლო დღეს ადამ ოქრუაშვილს რომ არ ეყოჩაღა, თბილისის ტრადიციული ტურნირების ისტორიაში, ალბათ, პირველად ოქროს მედალს ვერ მოვიპოვებდით.

მოგეხსენებათ, ბოლო წლებში საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ დიდი ორომტრიალი გადაიტანა და ეროვნული ნაკრები ორ ბანაკად გაიხლიჩა. ყოველივე ამას, შეუძლებელი იყო, თავისი დაღი არ დაემჩნია სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე ჩვენთან. საბედნიეროდ, ახლა ყველაფერი მიწყნარდა და ამ ფონზე სპორტის სასახლეში მოპოვებული ჯილდოებიც ურიგო არ უნდა ჩანდეს. მით უმეტეს, რომ ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ირაკლი უზნაძე, რომელსაც ია-ვარდებით მოფენილი გზა სულაც არ ელის, რაც თბილისის ტურნირმაც დაადასტურა. ჩვენი გუნდის ყოფილ თავკაც პეტერ ზაიზენბახერს კულუარებში უთქვამს — შარშან ამ ტურნირზე ჩემმა ქართველმა შეგირდებმა ექვსი ოქროს მედალი მოიპოვესო. ავსტრიელი ახლა აზერბაიჯანის ნაკრებს უდგას სათავეში. ზაიზენბახერმა ბაქოში ორი ოქროს მედალი წაიღო. უფრო მეტიც — თბილისში ერთი აზერბაიჯანული ფინალიც ვიხილეთ. ჩვენებურთაგან ის კინკილა „ოქრო“ მძიმე წონაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ოთხგზის ფალავანმა ადამ ოქრუაშვილმა მოგვიტანა — ფინალში იაპონელ ტაკეში ოჯიტანის აჯობა. მსგავსი წარმატების მიღწევა შეეძლო ლაშა გურულს (100), მაგრამ ფინალური პაექრობა ორ სასონთან (ისრაელი) დათმო. ბრინჯაოს მედლები ამირან პაპინაშვილს, პაატა მერებაშვილს (60), ტრისტან ფეიქრიშვილს (66), ლაშა ტაველურს (90), დავით ლორიაშვილსა (100) და გიორგი ზაქარიაძეს (+100) ერგოთ. უმედლოდ 73-სა და 81 კილოში დავრჩით.

საგულისხმოა, რომ თბილისის ტურნირზე აქტიური სპორტიდან საზეიმოდ გააცილეს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე, რომელიც ახლა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა და პარლამენტარმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა სახელოვან ფალავანს მოოქროვილი ბიბლია გადასცეს და ახალ ამპლუაშიც წარმატება უსურვეს.

„ამ ტურნირზე ჩვენი მიზანი იყო, ბიჭებს საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოევლინათ, რაც, რამდენიმე შემთხვევის გარდა, კიდეც შეასრულეს. ვფიქრობ, დასახული კურსი სწორია. ახალ წესებთან ადაპტაცია არ გაგვჭირვებია. თბილისური ევროპის თასის შედეგებს გავაანალიზებთ, პარიზში წამსვლელებს კი 2-3 დღეში დავასახელებთ,“ — თქვა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ირაკლი უზნაძემ.

კვარცხლბეკი

60 კგ. 1. შინჯი კიდო (იაპონია), 2. იელდოშ სმეტოვი (ყაზახეთი); 3. პაატა მერებაშვილი, ამირან პაპინაშვილი; (ორივე — საქართველო).

66 კგ. 1. დიმიტრი შერშანი; 2. ვადიმ შოკა (ორივე — ბელარუსი); 3. ტრისტან ფეიქრიშვილი (საქართველო), იუიტო იოშიდა (იაპონია).

73 კგ. 1. საგი მუკი (ისრაელი); 2. იერტუგან ტორენოვი (ყაზახეთი); 3. ალექსეი ასტაფიევი (რუსეთი), ჰუსეინ რაჰიმლი (აზერბაიჯანი).

81 კგ. 1. ტურალ საფგულიევი (აზერბაიჯანი); 2. ტაკანორი ნაგასე (იაპონია); 3. ასაფ ჩენი (ისრაელი), მამადალი მეჰდიევი (აზერბაიჯანი).

90 კგ. 1. შეხმად მაგომედოვი; 2. შაჰინ გაჰრამანოვი (ორივე — აზერბაიჯანი); 3. ლაშა ტაველური (საქართველო), სტანისლავ რეტინსკი (უკრაინა).

100 კგ. 1. ორ სასონი (ისრაელი); 2. ლაშა გურული; 3. დავით ლორიაშვილი (ორივე — საქართველო), ჯავად მაჰჯოუბი (ირანი).

+100 კგ. 1. ადამ ოქრუაშვილი (საქართველო); 2. ტაკეში ოჯიტანი, 3. რიუ სიჩინოჰე (ორივე — იაპონია), გიორგი ზაქარიაძე (საქართველო).

ლექსო ცინცაძე

◎ რაგბი

მძიმე სტარტი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის წლევანდელი ერთა თასის გათამაშება ბელგიასთან სტუმრობით დაიწყო. მილტონ ჰეიგის გუნდს დივიზიონის დებიუტანტთან პაექრობა გაუჭირდა და მხოლოდ 4 ქულით —17:13 მოიგო. პირველ ტაიმში ბელგიელებმა 10:3 იმარჯვეს.

„ძალიან რთული მატჩი გვქონდა: მეტოქე სათანადოდ არ შევაფასეთ და კინაღამ დავისაჯეთ. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ნებისმიერი მოწინააღმდეგე უნდა დააფასო. ვფიქრობ, ეს შემთხვევა ჩვენთვის კარგი მაგალითი იქნება და მომდევნო თამაშებში მსგავს შეცდომებს აღარ დავუშვებთ“ — განაცხადა საქართველოს ნაკრების ლიდერმა, ჩვენი გუნდის პირველი ლელოს ავტორმა მამუკა გორგოძემ.

სხვა შეხვედრებში რუსეთმა შინ

ესპანეთს სძლია 13:9, რუმინელებმა კი პორტუგალიელებს სტუმრად 19:13 აჯობეს. მეორე ტურში, 9 თებერვალს საქართველოს ნაკრები პორტუგალიელებს დაუხვდება, ბელგია ესპანეთს უმასპინძლებს, რუმინეთი კი — რუსეთს.

2 თებერვალი, 2013. ევროპის ერთა თასი. ბელგია, ბრიუსელი, ეიზელი. 4000 მაყურებელი.

ბელგია 13:17 (10:3) საქართველო

ბელგია: 15.ალენ ვილიამსი, 14.ელიოტ ფან-ტრაპენი, 13.ტიბო ანდრე, 12.გიომ ბრებანი (23.კევინ დამსი 73), 11.გიომ პირონი, 10.კარლოს ფიერო, 9.ჟიულიან ბერეჟე (22.სებასტიენ განსი 70); 1.ჟიულიენ მასიმი (18.რაფაელ ოლივე 44), 2.ნორმან ვენდე (17.ალექსის კუფოლო 79), 3.მაქსიმ ჟადო, 4.მატიო ფერსხელდენი, 5.სირილ ნანა (18.ჩარლი ფურნო 64), 6.ტომას დემოლდერი (18.ჩარლი ფურნო 48, 6.ტომას დემოლდერი 49, 17.ალექსის კუფოლო 55, 20.მიქაელ დემოლდერი 64), 7.ენდრიუ ნილი (კაპ.), 8.ჟულიენ მორელი (25.ალენ მირიალაკისი 10)

მწვრთნელი: რიშარ მაკქლინტოკი (საფრანგეთი)

ლელო: ალენ მირიალაკისი (25)

გარდასახვა: ალენ ვილიამსი (24).

2 ჯარიმა: ალენ ვილიამსი (39, 43).

1 სინბინი: ნორმან ვენდე (51).

1 გაძევება: მაქსიმ ჟადო (3).

საქართველო: 15.ბექა წიკლაური (22.ლაშა ხმალაძე 77), 14.ალექსანდრე თოდუა, 13.დავით კაჭარავა, 12.მერაბ შარიქაძე, 11.თამაზ მჭედლიძე, 10.მერაბ კვირიკაშვილი, 9.გიორგი ბეგაძე; 1.მიხეილ ნარიაშვილი (17.დავით ხინჩაგიშვილი 58), 2.შალვა მამუკაშვილი (16.რევაზ ბელქანია 60), 3.დავით ქუბრიაშვილი, 4.გიორგი ჩხაიძე, 5.კონსტანტინე მიქაუტაძე (19.შალვა სუთიაშვილი 60), 6.ვიქტორ კოლელიშვილი, 7.მამუკა გორგოძე, 8.დიმიტრი ბასილაია (18.ლევან ჩილაჩავა 10).

სათადარიგოები: 20.ბექა ბიწაძე, 21.ვაჟა ხუციშვილი, 23.გიორგი ფრუიძე.

მთავარი მწვრთნელი: მილტონ ჰეიგი (ახალი ზელანდია).

2 ლელო: მამუკა გორგოძე (50), ლევან ჩილაჩავა (71).

2 გარდასახვა: მერაბ კვირიკაშვილი (50, 72).

1 ჯარიმა: მერაბ კვირიკაშვილი (79).

1 სინბინი: ვიქტორ კოლელიშვილი (38).

1 გაძევება: დავით ქუბრიაშვილი (3).

მსაჯი: მატეო ლიპერინი (იტალია).

ასისტენტები: ფილიპო ბერტელი, ენრიკო ძუკი (ორივე იტალია)

9 თებერვალი

საქართველო-პორტუგალია, რუმინეთი-რუსეთი, ბელგია-ესპანეთი.

23 თებერვალი

რუსეთი-საქართველო, ესპანეთი-რუმინეთი, პორტუგალია-ბელგია.

9 მარტი

საქართველო-ესპანეთი, პორტუგალია-რუსეთი, ბელგია-რუმინეთი.

16 მარტი

რუმინეთი-საქართველო, ესპანეთი-პორტუგალია, რუსეთი-ბელგია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სამთო თხილამურები

იასონ აბრამაშვილმა გერმანიაში საერთაშორისო ტურნირი მოიგო

გერმანიის სათხილამურო კურორტ იენერში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობა ქართველმა სპორტსმენებმაც მიიღეს. საქართველოს ნაკრების ლიდერმა იასონ აბრამაშვილმა დისტანცია 1.33.95 საათში დაფარა და ჩემპიონი გახდა.

ამ გამარჯვებით აბრამაშვილმა 22.40 სარეიტინგო ქულა დააგროვა, რაც საერთაშორისო ფედერაციის საერთო რეიტინგში დაწინაურების საშუალებას მისცემს. ნაკრების კიდევ ერთმა ლიდერმა ალექსი ბენიაიძემ ამავე ტურნირზე დისტანცია 1.36.30 საათში გაიარა და მე-17 ადგილზე გავიდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფარიკაობა

საევროპო რეპეტიცია თბილისში

1996-1997 წლებში დაბადებული მოფარიკავეები წლეულს 25 თებერვლიდან ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. ამ შეჯიბრებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო 17-წლამდელთა საქართველოს პირველობა ვაკეში, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის ფარიკაობის დარბაზმა უმასპინძლა. მოხმალავე გოგონებში ყველას თბილისელმა ქრისტინე ნოზაძემ აჯობა — ფინალში მან ქუთაისელ ანა სინატაშვილს მოუგო — 15:10, რითაც ჩემპიონობა შეინარჩუნა. მესამე ადგილებზე ანა აფრასიძე და ელენე ნანობაშვილი (ორივე — თბილისი) გავიდნენ.

ვაჟებში პირველობა არავის დაუთმო საბა სულამანიძემ (თბილისი). გადამწყვეტ პაექრობაში მან გივი მერკვილაძეს (ქუთაისი) აჯობა — 15:9. ნიკა შენგელია (თბილისი) და ანზორ სიმსივე (ქუთაისი) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

აქვე დანარჩენ ორ სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობასაც გაუწყებთ:

რაპირა. გოგონები. 1. თეონა გოგლიძე (თბილისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. ლიკა ჯიჯეიშვილი, ანა მელია (ორივე — თბილისი); **ვაჟები.** 1. ლუკა ღაღანიძე, 2. გიორგი გელაშვილი, 3. გივი ხართიშვილი (სამივე — თბილისი), ნიკა ვეფხიაშვილი (რუსთავი).

სურათზე: მარცხნიდან — ლუკა ღაღანიძე, თეონა გოგლიძე და ქრისტინე ნოზაძე.

შვიდ თებერვალს ლუკა ღაღანიძე, თეონა გოგლიძე, გიორგი გელაშვილი და მარიამ ცუხიშვილი იტალიურ პიზაში კადეტთა შორის ევროპის თასზე იასპარეზებენ.

დაშნა. გოგონები. 1. მარია ზაკირჩენკო, 2. ქრისტინე მიქაძე, 3. ანა ბიბიჩაძე (სამივე-ქუთაისი) და ანა მელია (თბილისი); **ვაჟები.** მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 2. ირაკლი ფანცხავა, 3. ანრი სიმსივე და გიორგი ყურაშვილი (სამივე-ქუთაისი).

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

მოზაიკა

აფრიკის ეროვნებათა თასი. მეოთხედფინალები. სამხრეთ აფრიკა — მალი 1:1 (პენალტებით — 1:3), განა — კაპო ვერდე 2:0, ბურკინა ფასო-ტოგო 1:0, ნიგერია — კოტ დივუარი 2:1.

ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ: მალი — ნიგერია, განა — ბურკინა ფასო.

* * *

ინგლისი. „ფულჰემი“ — „მანჩესტერი“ 0:1, „სიტი“ — „ლივერპული“ 2:2, „ნიუკასლი“ — „ჩელსი“ 3:2, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ტოტენჰემი“ 0:1, „არსენალი“ — „სტოკი“ 1:0.

გერმანია. „მაინცი“ — „ბაიერნი“ 0:3, „ლევერკუზენი“ — „ბორუსია“ 2:3, „ვერდერი“ — „ჰანოვერი“ 2:0, „შალკე“ — „ფიურტი“ 1:2, „ჰამბურგი“ — „აინტრახტი“ 0:2.

იტალია. „კიევო“ — „იუვენტუსი“ 1:2, „ნაპოლი“ — „კატანია“ 2:0, „ჯენოა“ — „ლაციო“ 3:2, „სიენა“ — „ინტერი“ 3:1, „მილანი“ — „უდინეზე“ 2:1.

ესპანეთი. „ვალენსია“ — „ბარსელონა“ 1:1, „გრანადა“ — „რეალი“ 1:0, „ატლეტიკო“ — „ბეტისი“ 1:0, „მალაგა“ — „სარაგოსა“ 1:1, „სევილია“ — „რაიო ვალეკანო“ 2:1.

საფრანგეთი. „ტულუზა“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 0:4, „აიაჩო“ — „ლიონი“ 3:1, „მარსელი“ — „ნანსი“ 0:1.

გიორგი ზოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„ოქროს ხანის“ დასასრული,

ანუ გამოთხოვება ნოდარ ანდღულაძესთან

მიდიან და მიდიან... ქართული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება... ცარიელდება გასული საუკუნის „სამოციანელებისგან“, უნიჭიერესი თაობისგან! რას ვიზამთ, დრონი მეფობენ!.. სანუგეშოდ ისღა გვრჩება, რომ მათ ნამუშაკევს დრო ვერაფერს დააკლებს!

გასულ შაბათს ნოდარ ანდღულაძეს გამოვეთხოვეთ — დიდ მომღერალს, ნიჭიერ ფილოლოგს, ღირსეული მამის — დავით ანდღულაძის ღირსეულ შვილს... მან წარუშლელი კვალი დააჩნია ქართულ საოპერო ხელოვნებას, იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული საოპერო ხელოვნება ახალ-ახალ სიმაღლეებზე აჰყავდათ და აჰყავთ მის მოწაფეებს...

ამ დღეებში ბევრს საუბრობენ ბატონი ნოდარის შესაშურ ადამიანურ თვისებებზე... თავისთვის არაფერი უნდოდაო, უცხოეთიდან რომ ჩამოდიოდა, სტუდენტებისთვის ჩამოჰქონდა უამრავი საჩუქარიო, იგონებდა ტელევიზორში მისი მეგობარი და პარტნიორი, ცნობილი მომღერალი ცისანა ტატიშვილი...

...კონსერვატორიის წინ ვდგავართ ნაცნობ-მეგობრები, საცაა უნდა გამოასვენონ ვალმოხდილი ხელოვანი შენობიდან, რომელიც მას ასე ეძვირფასებოდა. ვსაუბრობთ...

— ჩემი პედაგოგი ზურაბ ანჯაფარიძე იყო, — ამბობს ვოკალური ფაკულტეტის კურსდამთავრებული **ზაზა წულუკიძე,** — თუმცა, ბატონ ნოდართანაც ვმეგობრობდი, მას ხომ უამრავი უმცროსი მეგობარი ჰყავდა. ღმერთო, რა სითბო და კეთილშობილება მოდიოდა მისგან...

— არ არის გასაკვირი, — ერთვება საუბარში **ოთარ იშხნელი,** — დავით ანდღულაძე ხომ სამაგალითო პიროვნება, მომღერალი და პედაგოგი იყო... ახლა დედამისი, ვარვარა მიხაილოვნა... გასაკვირი ადამიანი!

უკვე 40 წელი გახდა, რაც მე ნოდარ ანდღულაძის მოწაფე ვიყავი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან დავახლოვდით. რამ დამავიწყოს მისი — „ოთოა, ბიჭო!“ ანდღულაძეების ბინა ყოველთვის სავსე იყო მეგობრებითა და სტუდენტებით, დამიჯერეთ, სადილად, 10-12 კაცი მაინც უჯდა მაგიდას... ყველა სიკეთესთან ერთად ნოდარი შესანიშნავი თამადაც იყო. ერთხელაც, მესტიაში ვართ, ბორია სარალიძემ, იქაურობა რომ გაანათა, დიდი ამბავი ჰქონდათ სვანებს. მიწვეულნი იყვნენ ნოდარ ანდღულაძე, თენგიზ მუშკუდიანი, ჯემალ მდივანი, ელდარ გეწაძე და სხვები... ჩვენც — რამდენიმე სტუდენტი... თენგიზ მუშკუდიანი მესტიაში არ იყო ნამყოფი და გაგიჟდნენ სვანები, შენ უნდა იყო თამადაო, მიადგნენ თენგიზს, საპურმარილოდ რომ დავჯექით. თენგიზმა იუარა, არ მაქვს მაგის თავი, მაგრამ ისეთი კაცი გვახლავს, ნახავთ, რა თამადა იქნებაო, და ნოდარ ანდღულაძე დასვა თამადად... ითამადა, რა ითამადა, ამ ცხონებულმა!.. ხან ქართულად, ხან სვანურად ისეთ რაღაცებზე ისაუბრა, მანამდე რომ, მე პირადად, არ გამეგო (იგი ხომ შესანიშნავი ფილოლოგიც იყო)... საკუთარი ცხოვრება არ ჰქონია, იცხოვრა საქართველოსთვის და ნაცნობ-მეგობრებისთვის... დიდი კაცი წავიდა... გაანათლოს ღმერთმა!..

როდის დავეწევით ესტონეთს?!

ა, ბატონო, სულ ერთი ციცქნა ესტონეთი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ყველაზე პატარა სახელმწიფო, მისი ხალხი დინჯად, ჭკვიანურად აშენებს დღევანდელობას და იმედით შეჰყურებს მომავალს. არ არის შესანატრი? ახლახან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობა უფასო გამხდარა ესტონეთში!

ჩვენთან რა ხდება? „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ, თავისი უჭკუობითა და წინდაუხედაობით, ხაზი გადაუსვა იმასაც, სიკეთე რომ გააკეთა და ჩვენს ზოგ მოქალაქეს, ხნიერს თუ ახალგაზრდას, მგზავრობის შეღავათები დაუწესა, **სამაგიეროდ, ერთი „თეთრიც“ რომ არ დაიკარგოს, თითქმის ყველა გაჩერებაზე ავტობუსში, წინა თუ უკანა კარებიდან, ამოდის 3-4 მაკონტროლებელი („მონიტორინგის სამსახური“ აწერიათ ყვითელ მოსასხამებზე) და სათითაოდ ამოწმებს, მგზავრებს, აქვთ თუ არა ბილეთი აღებული.** რამდენჯერ წავსწრებივარ მგზავრის აღშფოთებას: „მაცალე კაცო, ხომ ხედავ, გაჭედილია ავტობუსი, ველარ მივდივარ სალარომდე!“ მერე, ვიღაცა მგზავრს

ესარჩლება, ვილაცა ხელისუფლებას აგინებს და არის ერთი ვაი-უშველებელი.

როგორც გავიგეთ, გიგი უგულავა — თბილისის უმუშევრების დამსაქმებელი კაცი, აპირებს მაკონტროლებლების რიცხვის გაზრდას, **აბა, რა, ჩვენი მოქალაქეების ნდობა როგორ შეიძლება?! არც ერთი უბილეთო მგზავრი ჩვენს ტრანსპორტში! ყოველი „თეთრი“ ბიუჯეტის შევსებას უნდა მოხმარდეს!**

...ვაი, ჩვენს პატრონს, ნეტა, რამდენი წლით ჩამოვრჩებით ესტონეთს?!

„ანგარიში“ — დავით აღმაშენებელს!

რაბ გგონიათ, უპირველესად, საქართველოს მეფეთ-მეფეს აბარებს თავისი 9-წლიანი მოღვაწეობის „ანგარიშს“ პრეზიდენტი, რომელიც „ქვეშ-ქვეშად“, „გადაკრულ-გადმოკრულად“ ყოველთვის დავით აღმაშენებელს ადრიდა თავს და, ახლა, პარლამენტში, თანაც ქუთაისში, თანაც გელათის სიახლოვეს, ანუ დავით აღმაშენებლის „მიდამოებში“, აღმაშენებლის ხსენების დღეს, ხომ უნდა დააყენოს „ბუქი“, მისი მეთაურობით XXI საუკუნის საქართველოს აღმამშენებლობისა?!. ამ მომენტის გამშვებია მიშა?! ის კი არა, თამარ მეფეზეც შეიძლება გაამახვილოს ყურადღება, რაკი ჩვენმა ეკლესიამ 2013 წელი თამარის წლად გამოაცხადა, და „დაბრეხვოს“, რომ ეცლიათ, მის საფლავსაც ვიპოვიდიო... ერთორ ლექსს ხომ ნაღდად იტყვის თამარზე (არ ეცოდინება ზეპირად თუ?!). მოკლედ, ჩემი აზრით, კაი სეირი გველოდება 8 თებერვალს ტელემაყურებლებს!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ რუსული ენის უფასო კურსები

„კარგი ჩვენს ურთიერთობებში გაცილებით მეტია, ვიდრე ცუდი...“

რუსული ენის შემსწავლელი უფასო კურსები თბილისში სრულფასოვან მოქმედებას მომავალი ორშაბათიდან, 4 თებერვლიდან დაიწყებს. მეცადინეობები უზნაძის ქუჩის №15-ში, „ერეკლე მეორის საზოგადოების“ ყოფილ შენობაში, 6 თვის განმავლობაში გაიმართება. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვოსტის“ თბილისის ოფისში გამართულ რუსული ენის შემსწავლელი უფასო კურსების გახსნის ცერემონიალზე ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარემ არჩილ ჭყოიძემ განაცხადა. კურსები პროექტის „ცოდნა საუკეთესო ხიდია“ ფარგლებში გაიხსნა, რომელსაც ფონდი „რუსსკი მირ“ აფინანსებს.

ამ ეტაპისთვის გასაუბრების შედეგად შერჩეულია 120 მსმენელი და დაკომპლექტებულია 6 ჯგუფი, მაგრამ მოქალაქეთა ინტერესი ამ პროექტის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ პროექტის ავტორებმა დამატებითი სიების შედგენა გადაწყვიტეს, და მარტიდან რუსული ენის შემსწავლელ კურსებზე მეცადინეობას მეორე ნაკადი დაიწყებს.

არჩილ ჭყოიძის ცნობით, რუსული ენის გარდა მსმენელები შეისწავლიან მდიდარ რუსულ ლიტერატურას, მოისმენენ ლექციებს რუსეთის ისტორიისა და ღვთისმეტყველების შესახებ. რუსულ ენას პედაგოგი ირმა გოგიაშვილი, რუსეთის ისტორიას ტელეკომპანია „მირის“ თანამშრომელი ბორის მანჟუკოვი, ხოლო ღვთისმეტყველებას დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე შეასწავლიან.

„გადავწყვიტეთ, რომ აუცილებლად უნდა შევისწავლოთ რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ღვთისმეტყველება, რადგან დღესდღეობით ჩვენი ერთადერთი მოძმე და ერთმორწმუნე ერი რუსეთია. არ ვიტყვი, რომ ჩვენს შორის უარყოფითი მოვლენები არ იყო, იყო და დღესაც არის, მაგრამ დადებითი ჩვენს ურთიერთობებში გაცილებით მეტია, ვიდრე ნეგატივი“, — განაცხადა არჩილ ჭყოიძემ.

მისივე თქმით, საჭირო, ამ საგნების გარდა, მსმენელებმა შეისწავლონ რუსეთი საერთოდ, რა გაუკეთებია საქართველოსთვის. „დღევანდელი მედია ხშირად წერს, რომ რუსეთი საქართველოს მტერია, რუსეთმა დაიპყრო საქართველო, მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში ერთიანი საქართველო საერთოდ არ არსებობდა და გეორგიევსკის ტრაქტატი მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოსთან დაიდო. საქართველოს დიდი ნაწილი დაპყრობილი იყო ოსმალეთის მიერ, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა დღეს საქართველოს მოძმე ერად გამოაცხადა“, — აღნიშნა ჭყოიძემ.

მისივე განცხადებით, რუსული ენის კურსები საქართველოში პირველად 2009 წელს გაიხსნა. პროექტის განხორციელება იმ რეჟიმის პირობებში დაიწყო, რომელმაც რუსეთი საქართველოს მტრად გამოაცხადა. მაშინ მასწავლებლებიც და მსმენელებიც დიდ ზეწოლას განიცდიდნენ, ხოლო ხელისუფლების მიერ მართული მედიასაშუალებები „ერეკლე მეორის საზოგადოებას“ რუსეთის აგენტებს და „ეფ-ეს-ბეს“ ფილიალს უწოდებდნენ.

პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდა საერთაშორისო ტელერადიოკომპანია „მირის“ დირექტორთა საბჭოს წევრი და საქართველოს ფილიალის დირექტორი ბადრი ნაჭყებია, რომელმაც რუსული ენის ცოდნის აუცილებლობაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ რუსული ენის ცოდნა პოსტსაბჭოთა სივრცის ძალიან ბევრ ქვეყანაში დღესაც სავალდებულოა. ეს ქვეყნებია, ბელორუსია, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი. უფრო მეტიც, რუსული ენის ცოდნა აშშ-ს საელჩოების თანამშრომლებსაც მოეთხოვებათ. რუსული ენა ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის გაეროს, იუნესკოს ოფიციალური ენაა, განაცხადა ნაჭყებიამ და დასძინა, რომ ამ ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველო დღეს რუსული ენის მცოდნე ადამიანების სერიოზულ დეფიციტს განიცდის, განსაკუთრებით კი ქართველ მოქალაქეებს შორის.

პროექტის — „ცოდნა საუკეთესო ხიდია“ მეორე ეტაპი დააფინანსა გამოჩენილმა ქართველმა მეცენატმა, პეტერბურგელმა ბიზნესმენმა და საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ებრალიძემ. 2011 წლიდან პროექტს ფონდი „რუსკი მირ“ აფინანსებს.

ნატა ნიბლაძე

მეუღლე თამაზ აგლაძე, შვილები ქეთევან, ილია აგლაძეები, ძმა ჰენრიხ ნეიგაუზი, რძალი ნატო ვაჩაძე, ნათესავები მარინა მაჭავარიანი, მარინა ბახტაძე, ელისო გუდიაშვილი, გიორგი აგლაძე, დავით ფრანგიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარინა ნეიგაუზი

გამოსვენება 5 II, ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან 14 სთ.

თამარ კეჩხუაშვილი, მერაბ გუგუნავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის

მარინა ნეიგაუზის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

ციხეებიდან კიდევ 386 მსჯავრდებული გათავისუფლდა

1, 2 და 3 თებერვალს, ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან 386 მსჯავრდებული გათავისუფლდა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან იტყობინებიან.

2013 წლის 3 თებერვლის მონაცემებით, ამნისტიის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები დატოვა სულ 5 718-მა მსჯავრდებულმა, მათ შორის 175-მა პოლიტპატიმარმა, 231-მა მდედრობითი სქესის სრულწლოვანმა და 14-მა მამრობითი სქესის არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა.

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი კარაბადინი

დენი, ლუდი და გველები

მკურნალობის ყველაზე სახალისო ხერხები

ეჭვი არ არის, მედიცინა — უაღრესად სერიოზული საქმეა. მიუხედავად ამ თეზისის უტყუარობისა, უფრო სწორად კი, მის პარალელურად, დასავლეთის მრავალ ქვეყანაში მკურნალობის ახალ მეთოდს ნერგავენ, რომლის საფუძველს კაცობრიობის საბავშვო თამაშებისადმი გაუნელებელ სიყვარულს ეფუძნება. ამავე დროს აგრეთვე არსებობს არაერთი სხვა, არანაკლებ „არასერიოზული“, თუმცა კი, მიუხედავად ამისა, მკურნალობის მეტად ქმედითი მეთოდიკები.

ლუდის აბაზანები

ლუდის აბაზანების მიღება ჩინეთში ორი ათასი წლის წინათ დაიწყეს. ქვეყანაში, სადაც ლუდის ხარშვა ტრადიციული მეურნეობაა — ვთქვათ, გერმანიაში, ჩეხეთში, ავსტრიაში — არსებობს ლუდის სპა, სადაც ხალხი ლუდის აბაზანებს იღებს. ეს პროცედურა ნერვებს ამშვიდებს, ასევე კანის სხვადასხვა ავადმყოფობას შველის. ერთადერთი საფრთხე კი ისაა, რომ აბაზანის მიღებისას კაცს ზედმეტი ლუდი არ „შემოესვას“.

სთოუნთერაპია

იგი სახსრების დაავადებებს, სასუნთქი ორგანოებისა და გულის სისხლძარღვთა დაავადებებს კურნავს, დიდად შველის გაციების, ხველების, სტრესს, ხსნის ნერვულ დაძაბულობას. საგულისხმოა, რომ მკურნალობის ამ მეთოდის საშინაო პირობებშიც თავისუფლად შეიძლება. ცხელი ქვების სხეულზე დადებას მომყოლი გვერდითი ეფექტები არ აქვს.

დენოთერაპია

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იყიდებოდა ქამრები, რომელთა მეშვეობით — მამაკაცების სასქესო სისუსტე დენის რეგულარული განმუხტვებით კურნავდნენ. თუმცა კი იმის შესახებ, შველის თუ არა ეს მეთოდი იმპოტენციას, დანამდვილებით უცნობია, რადგან ვერც ერთმა პაციენტმა განმუხტვების საჭირო ოდენობას ვერ გაუძლო.

სიცილოთერაპია

ცოტა ხნის წინათ საფრანგეთში სიცილოთერაპიის სკოლა გახსნეს. სიცილი — ესაა ადამიანისთვის მინიჭებული ორგანიზმის გაწმენდის ბუნებრივი მექანიზმი. მეცნიერთა კვლევებმა აჩვენეს, რომ სიცილის დროს უმჯობესდება გულის სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მუშაობა, უმჯობესდება საჭმლის მონელება და გამომუშავდება ანტისტრესული ჰორმონები.

გველებით მასაჟი

ეს მეთოდი ძალიან პოპულარულია ჩინეთში და, ამბობენ, დიდად ეფექტიანია სახსრებთან დაკავშირებული პრობლემების დროს. ამ დროს შხამიან გველებს იყენებენ, რომლებსაც ტანზე თავისუფლად ცოცვის საშუალებას აძლევენ. ამდენად, გამორიცხული არაა, რომ ამ ხერხს მომყოლი ფსიქიკური ეფექტიც ჰქონდეს.

ზოოთერაპია

ადამიანის ორგანიზმზე ცხოველთა სამკურნალო ზემოქმედების შესახებ ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს დროიდანაა ცნობილი. კერძოდ, კატას გულის რიტმის მოწესრიგება შეუძლია, დელფინები ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს ფეხზე წამოდგომაში ეხმარებიან, მაგრამ ყველაზე საუცხოო ექიმია ჩინური ქოჩორა ძაღლი: იგი წნევას არეგულირებს, ხსნის ასთმის შეტევებს, კურნავს ალერგიისგან და, ზოგიერთი სპეციალისტის განცხადებით, ზოგჯერ ონკოლოგიურ პროცესებსაც ანელებს!

სხვათა შორის, ამ მხრივ ცხოველებს ბადალი არა ჰყავთ. გერმანელმა მეცნიერებმა ტრენაჟორი შექმნეს, რომელიც... ცხენის რხევით მოძრაობებს იმეორებს, თუმცა კი, კონსტრუქტორთა სამწუხაროდ, მის გამოყენებას არც ერთი ეფექტი არ მოყვა, რომელიც ბუნებრივ იპოთერაპიას ახლავს!

თამაშოფიკაცია

ამ მეთოდის ეფექტიანობის წარმოსაჩენად სპეციალისტები 10 წლის ელეონორა ჰოვარტის ამბავს ყვებიან. სამი წლის წინათ გოგონას დიაბეტის დიაგნოზი დაუსვეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ დღიდან მოყოლებული მას სისხლის უმტკივნეულო ექსპრეს-ანალიზი უნდა ჩაეტარებინა. ამის გამო მშობლებს დიდი ჯაფა მანამდე დაადგათ, ვიდრე ბავშვს ახალი თამაში „დიჯეტი“ არ უყიდეს. ამ დროიდან მოყოლებული ანალიზის ყოველი ჩაბარება გოგონას კომპიუტერული გმირისთვის დამატებითი ქულების მიღების შესაძლებლობას აძლევდა. ამდენად, პრობლემა თავისთავად მოიხსნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთივე თამაში ლეიკემიით დაავადებულთათვისაა შექმნილი.

ფეკალური ბაქტერიოთერაპია

ნაწლავებიდან ნაწლავებში (უფრო ხშირად ნათესავისგან) ფეკალური მასალების ნაწილები გადააქვთ. იდეის არსი ისაა, „მიმწოდებლის“ განავალში მობინადრე სასარგებლო ბაქტერიები სნეული კაცის ორგანიზმში გამრავლდებიან და მას განკურნავენ. ამ მეთოდს ნაწლავების ანთებითი დაავადებების დროს იყენებენ.

ფუცლის ჭიების თერაპია

ესაა ასთმის მსგავს აუტოიმუნურ დაავადებათა მკურნალობის მეთოდი. ამ დროს პაციენტს საგანგებოდ აავადებენ ჰელმინტამებით, პარაზიტული ჭიებით. ჭიები ორგანიზმში ეტაპობრივად, რამდენიმე კვირის განმავლობაში შეყავთ.

წურბელები

ამ მეთოდს მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ წურბელებს მრავალი სასიფათო ინფექცია გადააქვთ. ცოტა ხნის წინათ კი მეცნიერებმა მოწყობილობა „მექანიკური წურბელები“ შეიმუშავეს, რომლებსაც მიმყოლი ეფექტები არ აქვს.

ნინო ალექსანდრია

◎ ანეკდოტები

— ეძიმო! ყურებში ხმაური მესმის, მუხლები მიკანკალებს, თავი სრულ არარაობად მიმაჩნია.
— გასაგებია. როდის მიდის თქვენი სიდედრი?

* * *

— ძვირფასო, მე არ შემიძლია უცებ ვთქვა უარი ჩემს ქალიშვილობის დროინდელ ჩვევებზე, — ეუბნება ცოლი ქმარს ქორწილის შემდეგ.
— არც არის საჭირო! კვლავაც მამაშენს გამოართვი ფული.

* * *

მამა შვილს, რომელიც დაქორწინებას აპირებს, რჩევას აძლევს:
— შვილო, ორი რჩევა მინდა მოგცე. პირველი: თავიდანვე მოიპოვე იმისი უფლება, რომ კვირაში ერთი ღამე მეგობრებში გაატარო. და აქვე მეორე რჩევაც: ნურასოდეს ნუ გაფლანგავ ამ ღამეს მეგობრებისთვის!

* * *

— სანამ ნიუ-იორკიდან მოსკოვში მივფრინავდი, ოცი კილოგრამი დავკარგე.
— ისეთი რა ინერვიულე, თუ შიშისგან გახდი?
— არა, ჩემოდანი მომპარეს.

* * *

— ჩემმა ქმარმა სპორტის წყალობით მიატოვა სმა.
— სპორტის რომელ სახეობაზეა საუბარი?
— კრივზე.
— შენი ქმარი კრივში ვარჯიშობს?
— ის კი არა, მე.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი გახდებოდით

კორეელებსა და აზერბაიჯანელებს ძართული „ლაზიკისა“ და „დიდგორის“ შეძენა სურთ

საპარლამენტო განცხადება, რომ შესაძლებელია, საქართველოში სამხედრო ტექნიკის წარმოება შეწყდეს, სიმართლეს არ შეესაბამება. მეტიც, თავდაცვის სამინისტრო „ლაზიკისა“ და „დიდგორის“ დახვეწაზე მუშაობს, რადგან, როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აღნიშნავს, საქართველოში დამზადებული ქვეითთა საბრძოლო მანქანებით სხვადასხვა ქვეყნები არიან დაინტერესებული, კერძოდ, კორეელები და აზერბაიჯანელები.

„რეზონანსი“

„ვინც 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, საქართველოს პარლამენტში სააკაშვილს მოუსმენს, ღირსებას დაკარგავს!..“

— მიაჩნია „თეთრების“ თავმჯდომარეს და კოალიცია „ერთსულოვნების“ ერთ-ერთ ლიდერს თემურ შაშიაშვილს, — ვინც გინდა იყოს და ვისაც უნდა ეწყინოს, მაგრამ ასეთი ადამიანი იქნება უღირსი. საქართველოს სირცხვილმა, მუცელზე მფორთხავმა კაცმა, მიხეილ სააკაშვილმა სპეციალურად გადმოიტანა პარლამენტში მისვლის თარიღი 8 თებერვალს, თორემ 6 თებერვალს ჰქონდა დაგეგმილი მისვლა... ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმას, რომ პარლამენტართა 99 პროცენტი მიიჩნევს, რომ სააკაშვილი პრეზიდენტი არ არის. აი, ასეთი კაცი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს ტრიბუნაზე დადგება.

„ძრონიკა“

„კარგი იქნება, თუ ყველა თავის საქმეში პატარა ბიჯინა იქნება“

— მიაჩნია კასპის გამგებელ ოლეგ იაძეს, რომლის კონფლიქტი „ქართული ოცნების“ წევრ ქალბატონებს შორის ჯერ კიდევ არ ამოწურულა. ქალბატონები გამგებლად დანიშნულ ცნობილ სპორტსმენს კასპის ტატამად გადაქცევაში სდებენ ბრალს. ოლეგ იაძე, რომელიც ორიოდე დღის წინათ სამბოს ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად აირჩიეს, აცხადებს, რომ კასპში ტატამის გაკეთებას მართლა აპირებს. ის ჭიდაობის ფედერაციაში მომხდარ ინციდენტსაც ეხმაურება და ამბობს: „ეს ინციდენტი არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ თემურ ყაზარაშვილიც უნდა ეცადოს, რომ ლუკას გაუგოს. ვიცი, რომ ყაზარაშვილი მეორე მხარის თამაშს თამაშობს. სჯობს ამას შეეშვას და ლუკას დაუდგეს გვერდით.

„ასავალ-დასავალი “

„ჟვანიას მკვლელობის გამოძიება ძვეყანაში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს“

— ამბობს მცხეთა-თიანეთის ყოფილი გუბერნატორი, ჟვანიას გუნდის წევრი კობა ბუჩუკური, — ჟვანიას თანამებრძოლები ვაპირებთ გააქტიურებას. როგორი ფორმით მოხდება ეს, მომავალი გვიჩვენებს... დღეს ზოგ, სათავეში მყოფ პოლიტიკოსს, იმის გახსენებაც კი არ სურს, რომ ზურას თანაგუნდელი იყო, სამაგიეროდ, დღეს სულ სხვა ხალხი იძახის, რომ ისინი ზურას გუნდის წევრები არიან.

„ახალი თაობა“

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com